

გორა ფერაძე

პარლამ ჩეჩენიური
დიდი ბრიტანეთის ნიგნსაყაყასა
და არქივებუი

(ნაკვეთი პირველი)



თბილისი
2001

წიგნზე მუშაობისას ვ. ჩერქეზიშვილის ინგლისური და ფრანგულენოვანი შრომების თარგმნაში გაწეული დახმარებისათვის უღრმესი მადლობა გვინდა მოვახსენოთ ქალბატონ მადონა სახოკიას და ბატონ რატი ყოლბაიას.

მადლობა გვინდა მოვახსენოთ ასევე ყველა ჩვენს მეგობარს, ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის აღწერისა და საქართველოში დაბრუნების საქმის თითოეულ გულშემმატკივარს, მათ შორის: საქართველოს საელჩოს თანამშრომლებს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და ბრიტანეთის ავიახაზების წარმომადგენლობას საქართველოში რომელთა აქტიური მხარდაჭერის გარეშე წინამდებარე ნაშრომი დღის სინათლეს ნამდვილად ვერ იხილავდა.

გოჩა ფერაძე

რედაქტორი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მადონა სახოკია

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ხუბუა

Gocha Peradze

Varlam Cherkezishvili
In the Libraries and Archives
of Great Britain

(Part I)



TBILISI - 2001

I would like to thank Madona Sakhokia and Rati Kolbaia for their help in translating from English and French the works by V. Cherkezishvili.

We also want to thank all our friends, who helped to research and return to Georgia the creative inheritance of V. Cherkezishvili, among them the staff of Georgian Embassy in U.K. and the representatives of British Airways in Georgia.

Gocha Peradze.

Editor: Madona Sakhokia, the Candidate of Philological Sciences.

reviewers: Professor George Nadareishvili,
Doctor of Law.
George Khubua, Doctor of Law.



1846-1925
ვარლამ ჩერქეზიშვილი

VARLAM CHERKEZISHVILI
(CHERKEZOV)

PREFACE

Varlam Cherkezishvili would be 155 on September 16, 2001. This work is dedicated to this date. My aim is to revive the name and life of the great patriot.

Since 1921, when the Soviets came in power in Georgia, the generations, including the specialists, were brought up with almost no knowledge about V. herkezishvili, internationally recognized critic of Marxism and famous politician. The officials did their best to ignore him and his name. While compiling Georgian Soviet Encyclopedia in the seventies they “could not” even remember his father’s name. In volume 11 of the encyclopedia Georgian politician is named as the son of Nikoloz, which is incorrect. Nothing was known about his closest people parents, sisters or brothers. However, V. Cherkezishvili could be considered as our contemporary (he died in London in 1925). Georgian political thought has not had many professionals of this calibre.

I tried to inform the reader about the unknown periods of life of the famous ancestors and close relatives of V. Cherkezishvili for the first time.

I also present here in Georgian, English, and French languages two works by V. Cherkezishvili, resulted from my scientific research in Great Britain in 1999, “Georgian Treaties with Russia” and “La Georgie,” as well as two of his publications in the Newspaper “Freedom” in 1896-97, about our neighbouring nations-Armenians and Greeks.

I hope my new research at Oxford University, planned in the nearest future and supported by British and Georgian Academies of Sciences, will be successful. It is another good opportunity not only to promote the study of life and work of V. Cherkezishvili, but also the political and legal relationships of Georgia with Great Britain, the leading power in world politics were our great compatriot lived for almost half a century like in his second motherland.

Gocha Peradze
Tbilisi, July 2001

წიგნობა

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ვარლამ ჩერქეზიშვილს დაბადებიდან 155 წელი სრულდება. ნაშრომი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება. ჩვენი მიზანია, დავიწყების წყვილად გამოვტაცოთ დიდი მამულიშვილის სახელი

1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში თაობები იაე აღიზარდნენ, რომ თვით სპეციალისტებმაც კი ვ. ჩერქეზიშვილი, მარქაიზმის მათვლით სახელის მქონე კრიტიკოსისა და პოლიტიკოსის. შეასახებ ძალზედ ცოტა რამ თუ იცოდნენ. ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან მისი დავიწყების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ 70-იან წლებში ქართული საბჭოთა ენციკლოპედია შედგენისას მისი მამის სახელიც კი „ვერ გაიხსენეს“. არასწორ წყაროებზე დაყრდნობით ენციკლოპედიის მე-11 ტომში ქართველი პოლიტიკოაი დღემდე შეცდომით ნიკოლოზის ძედ არის მოხსენიებული. არაფერი იყო ცნობილი მისი უახლოესი ადამიანების - შშობლების, დედამამიშვილების შესახებ. მაშინ, როდესაც ვ. ჩერქეზიშვილი, შეიძლება ითქვას, ჩვენი თანამედროვეა (ის 1925 წელს გარდაიცვალა ქ. ლონდონში). ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია ნამდვილად არ არის განებივრებული ამ რანგის პროფესიონალი მოაზროვნეებით.

ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ დაინტერესებული მკითხველისა და ფართო საზოგადოებრიობისათვის საარქივო მასალებზე დაყრდნობით, პირველად მოგვეწოდებინა ინფორმაცია ვ. ჩერქეზიშვილის სახელოვანი წინაპრების, უახლოესი ნათესავების ცხოვრების დღემდე შეუსწავლელი პერიოდის შესახებ.

აქვეა მოცემული და მკითხველს შესაძლებლობა აქვს, როგორც შშობლიურ ასევე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გაეცნოს ჩვენს მიერ 1999 წელს დიდი ბრიტანეთიდან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის შემდეგ ჩამოტანილ ვ. ჩერქეზიშვილის ორ ნაშრომს საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან“ და „საქართველო“; ასევე გასული საუკუნის მიწურულს 1896-97 წ.წ. გაზეთ „ფრიდომ-ში“ („თავიანუფლება“) გამოქვეყნებულ მისივე პუბლიკაციებს ჩვენი მეზობელი ერების - სომხებისა და ბერძნების შესახებ.

დიდ იმედებს ვამყარებთ უახლოეს მომავალში საქართველოსა და ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობით დაგეგმილ სამეცნიერო მივლინებაზე ოქსფორდის უნივერსიტეტში. ეს კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობაა უფრო სრულყოფილად შევისწავლოთ და წარმოვაჩინოთ არა მხოლოდ ვ. ჩერქეზიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, არამედ ზოგადად საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობები მსოფლიო პოლიტიკის ლიდერ სახელმწიფოსთან-ინგლისთან. ქვეყანასთან, რომელშიც ჩვენმა დიდმა თანამემამულემ თითქმის ნახევარი საუკუნე იცხოვრა და რომელიც მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა.

ვიჩა ფერაძე

რამდენიმე ახალი უტრინი ვარლამ ხერქეზიშვილის პორტრეტისათვის

თებერვლის ერთი ჭირვეული დღე იდგა. შუე არსად ჩანდა. მისი არყოფნით გულმოცემული წვიმა და თოვლი კი თითქოს ერთმანეთს ეკიბრებოდნენ ქვეყნიერების გასაყოფად. იმ დღეს ერთმანეთს ეკიბრებოდნენ სიმონ ჩერქეზიშვილის მამულის გასაყიდად სახელდახლოდ მოწვეული აუქციონის მონაწილენიც. საბოლოოდ ყველას ისევ ეგორ ისაკის-ძე ტერუნოვა აჯობა, რომელმაც ბანკის მოხელეს ფული სწრაფად მიუთვალა და ჩერქეზიშვილების მამულის შეძენის დამადასტურებელი მოწმობა უბეში საიმედოდ შეინახა.

ვაჭრობა დასრულდა. შენაძენით კმაყოფილი ვაჭარი ფრთხილი მოზომილი ნაბიჯით გაერიდა სეირის საყურებლად მისული ხალხის ნაცრისფერ აჩრდილებს.

არა გვგონია დღეს ვინმემ დანამდვილებით გვიპასუხოს, თუ როგორ მოიხმარა „ეგორ ისაკიჩმა“, ან მისმა შთამომავალმა იმ დღეს შეძენილი მამული. რამდენიმე წლის წინ, გაზაფხულზე, როდესაც ამ კუთხეს ვეწვიეთ, ვერც მყიდველი გაიხსენა ვინმემ და ვერც გამყიდველი. დიდი დრო, მთელი საუკუნე გავიდა მას შემდეგ.

ამ სევედიანი ამბის გახსენებით ჩვენ არ შეგაწყენდით თავს, რომ არა ერთი გარემოება: 1883 წლის 7 თებერვალს ე. ტერუნოვის მიერ ნაყიდი მამული ერთ დროს მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ძლევაშოსილი ფეოდალის - ჯან ასლან ჩერქეზიშვილის პირდაპირ შთამომავალთა უკანასკნელი სამკვიდრო იყო. ხოლო სიმონ ჩერქეზიშვილი ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, უმცროსი ძმა გახლდათ (11 გვ. 208).

დიდი და სახელოვანი გზა განვლო საჩერქეზიანოს¹ მეფობელის - ჯან ასლან ჩერქეზიშვილის სახლმა 7 თებერვლის ავად სახსენებელ დღემდე. ჯერ კიდევ XII საუკუნეში მოსულან მისი

1. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ჩერქეზიშვილთა ძალაუფლება სამკვიდროსთან ერთად ხელშეწყობის მიერ სამართავად გადაცემულ სამორთავოებსაც თუ გავითვალისწინებთ მარტყოფიდან დაწყებული კაკაბეთის ჩათვლით. თითქმის მთელ გარე კანეთზე ვრცელდებოდა.

წინაპრები საქართველოში „ჩერქეზ-ქიმონიდან და ადგილის გამო მიუღიათ გვარად ჩერქეზას შვილობა და თავადობა თამარ მეფისავე დროსა“ (6 გვ. 113).

ჩვენ მიერ ვარლამ ჩერქეზიშვილის წინაპრებთან დაკავშირებით მოძიებული უძველესი დოკუმენტი 1703 წლით თარიღდება. ის ქართლის მეფეს ერეკლე I-ს (1688-1703 წ.წ.) ეკუთვნის. დოკუმენტის თანახმად, მეფემ ვარლამ ჩერქეზიშვილის დიდ წინაპარს - ჯან ასლან ჩერქეზიშვილს, მის ძმებს აიღებურსა და გიორგის, ასევე მათ შვილებს ქაიხოსროსა და მამუკას, ქარაღისა და შახვერდის მოურავობა უბოძა (14 გვ. 109).

ჩერქეზიშვილების სახლის მიმართ მოწყალე აღმოჩნდა კახეთის მეფე კონსტანტინე II-ეც (1722-1733 წ.წ.). 1722 წლის 11 მაისის სიგელით მან ჯან ასლან ჩერქეზიშვილს მანავის სამოურავო დაუბრუნა.¹

მსგავსი მაგალითების მოტანა ვარლამ ჩერქეზიშვილის წინაპართა ცხოვრებიდან კიდევ შეიძლებოდა, თუმცა ამჟამად მხოლოდ ერთ გარემოებაზე შევაჩერებთ ყურადღებას. ცხადია, იმ ძნელბედობის უამს, რასაც მაშინ აღმოსავლეთ საქართველო განიცდიდა, დღენიდაც ბრძოლებში მყოფი მეფის კეთილგანწყობის მოპოვება ადვილი საქმე არ უნდა ყოფილიყო. აღნიშნულზე მეტყველებს ჯან ასლან ჩერქეზიშვილის სახელზე დღემდე შემორჩენილი კონსტანტინე II-ის წყალობის სიგელიც.

დოკუმენტის დასაწყისშივე, ჩამოთვლის რა ქვეშევრდომის დამსახურებებს სამეფო კარის წინაშე, მეფე ხაზს უსვამს ჩერქეზიშვილის გამბედაობასა და თავდადებას კახეთის ასაოხრებლად ქიზიყიდან შემოსული ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი შეტაკების დროს ჯან ასლანი სიკვდილს ძლივს გადარჩენია და მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლებს გამოუყვანიათ ბრძოლის ველიდან. ჭრილობას ვერ შეუშინებია ძველი მეომარი.² გამოჯანმრთელებისთანავე მას ხმალი აუღია ხელში და ბატონიშვილ თე-

1. საგულისხმოა, რომ იმავე სიგელში არაერთგზის არის ხაზგასმული: სამეფო ოჯახის მიერ მანავი იძთავივთე მექვიდრეობით ჩერქეზიშვილებს ქონდათ მიბარებული სამართავად-ო (11 გვ. 2).

2. იმ დროისათვის ჯან ასლანი 50 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო.

იმურაზს გაჰყოლია ლაშქარში. უფრო მეტიც, ამჯერად მას თავისი ვაჟიშვილიც წაუყვანია საომრად. როგორც მეფე აღნიშნავს, ჭაბუკს სახელოვანი მამის გვერდით თავდაუშოგავად უბრძოლია და ასევე მძიმედ დაჭრილს დაუტოვებია ბრძოლის ველი (11 გვ. 3).

უპირველეს ყოვლისა, წინაპართა სწორედ ეს თვისება, შეუპოვრობა დაინახა ტიცთან ტაბიძემ 200 წლის შემდეგ ვარლამ ჩერქეზიშვილში, როდესაც უკვე მსკოვან პოლიტიკოსთან პირველი შეხვედრისთანავე საქართველოსთვის ნაჩეკი ლიპარიტ ორბელიანის უტეხი და აჯანყებული სული დაინახა მასში (10 გვ. 1).

აღფრთოვანებას ჩერქეზიშვილების ვაჟყაცობის წინაშე ვერც ერეკლე II (1742-1798 წ.წ.) მალავდა. „ყოჩაღ და ათაგზის ყოჩაღ“, - წერდა პატარა კახი ლეკთა თარემის ასალაგმად კახეთის საზღვარზე გაგზავნილ ქაიხოსრო ჩერქეზიშვილს (ჯან ასლანის შვილი-იშვილს). მეფისთვის ერთგული ქვეშევრდომის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვანი და სასიხარულო აღმოჩნდა, რომ ერეკლემ მის მისამველებლად გაგზავნილი რაზმის თითოეულ მებრძოლს დიდძალი ფარჩა, ხოლო ქაიხოსროს თანამებრძოლსა და ბიძაშვილს, მამუკა ჩერქეზიშვილს, „ხალათი“ აღუთქვა საჩუქრად (11 გვ. 4).

ვარლამ ჩერქეზიშვილის წინაპრები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობის პროცესშიც. ასე მაგალითად, იყიდეს რა 65 კომლი გლეხი მათ კი არ აუყრიათ და გადაუსახლებიათ ისინი სხვა მიწაზე (თუნდაც იმავე საჩერქეზიანოში), პირიქით, თავისი ქვეშევრდომი, ზურაბ ერისთავის მიერ დისთვის მზითვში გამოყოფილებული აზნაური ფოცხვერიშვილი დაასახლეს სახაზინო მიწაზე. ასეთი გონივრული და წინდახედული მოქმედებით, რასაც თავის სიგელში ხაზს უსვამს კონსტანტინე II, მათ გაჩანაგებისაგან იხსნეს მეფის კუთვნილი მამული. ქვეშევრდომის ერთგულებით კმაყოფილმა ხელმწიფემ ეს მიწები ჩერქეზიშვილებს გადასცა სამოურავოდ (11 გვ. 3).

ამრიგად, როგორც დასახელებული და რიგი სხვა დოკუმენტებიდან ჩანს XVIII საუკუნეში ჩერქეზიშვილების სახლი სამეფო კართან საკმაოდ ახლოს უნდა მდგარიყო და მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობასაც განიცდიდა. მათ ოჯახთან ახლო ნათესაურ ურთიერთობებს ამყარებდნენ ქართლ-კახეთის გავლენიანი

ფეოდალები: ერისთავები, ჭავჭავაძეები, ჯორჯაძეები და სხვა. უფრო მეტიც, თვით ერეკლე მეფე ქაიხოსრო ჩერქეზიშვილისთვის გაგზავნილ წერილს ასე იწყებდა: მრავალი სალამი ჩვენს მიერ დიდად პატივცემულსა და ჩვენგან დაუფიწყარ ნათესავს ქაიხოსროს (11 გვ. 4). მართალია, ამჟამად მოკლებული ვართ შესაძლებლობას, დავაზუსტოთ, თუ რა ნათესაურ კავშირში იყვნენ ჩერქეზიშვილები მეფის ოჯახთან, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მეფე უსაფუძვლოდ ქვეშევრდომთან ნათესაობაზე ყურადღებას არ გაამახვილებდა.

ისტორიული დოკუმენტები საფუძველს გვაძლევენ ასევე ვიფიქროთ, რომ სამეფო კარის კეთილგანწყობა ჩერქეზიშვილების მიმართ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. ასე მაგალითად, 1786 წლის 6 თებერვლის სიგელით, მემკვიდრის გარეშე გარდაცვლილი თავადის, ავთანდილ ჩერქეზიშვილის მამული, მეფე ერეკლემ მისივე ბიძაშვილებს პაპუნა, ივანე და ჯან ასლან ჩერქეზიშვილებს არგუნა (14 გვ. 1). მეფის ეს წყალობა უცვლელი დატოვეს, როგორც ერეკლეს ვაჟმა, ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ, გიორგი XIII-ემ (1798 წლის 18 იანვარს), ისე მისმა შვილიშვილმა, ბატონიშვილმა დავითმაც (1801 წლის 13 თებერვალს). მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს, როგორც ცნობილია, რუს იმპერატორთაგან წინაპართა სამეფო ტახტზე ასვლა საერთოდ არ ღირსებია (14 გვ. 3).

აი ასეთი დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდნენ ვარლამ ჩერქეზიშვილის წინაპრები ბაგრატიონთა სამეფო კარზე, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში. როგორც სათავადაზნაურო საკრებულოს ერთ-ერთი სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „წინაპარნი ამა თავადთა ჩერქეზიშვილთანი, ყოველი ესე ყოფილან თავადობის ცხოვრებით¹ და განსვენებულთა საქართველოს მეფეთაგანაცა ღირსებით პატივცემულნი, სახელოებითა არა მცირედითა, ყმითა და მამულთა, რომელნიცა აწცა მასხედა მფლობელობენ და

1. უნდა აღინიშნოს, რომ ჩერქეზიშვილები მხოლოდ გარე კახეთში, ისტორიულ საჩერქეზიანოში რაღაც ცხოვრობდნენ. ამ გვარის წარმომადგენლებს შიდა ქართლში, გორშიც უცხოვრიათ, მაგრამ ესენი უკვე აზნაური ჩერქეზიშვილები იყვნენ (12 გვ. 41).

არცა ოდესმე ყოფილან იგინი არა რომელსამე საქმესა და გამოისაღუ-
ბის ქვეშე მყოფელნი-ო“ (14 გვ. 8).

როგორც მოსალოდნელი, იყო ბაგრატიონთა სამეფო ტახ-
ტისადმი საუკუნეების განმავლობაში ერთგულებით გამოჩენილი
ოჯახი მეფის რუსეთის სიკრუესა და ღალატზე დაფუძნებულ
პოლიტიკას ვერ შეეგუა. აი, რას წერდა მოგვიანებით თავის
ნაშრომში საქართველო (“La Georgia”) ვარლამ ჩერქეზიშვილი: „მი-
უხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერატორი პავლე I როგორც
საკუთარი ისე შთამომავლების სახელით ხელშეკრულებაში გათვა-
ლიწინებული პირობების დაცვის გარანტიას იძლეოდა, მისივე 1800
წლის მანიფესტით საქართველო რუსეთის იმპერიაში ინკორპორ-
ირებულად გამოცხადდა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში
კი მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა განაცხადა, რომ „მისი
ტახტზე ასვლის დროისათვის საქართველო იმპერიის მიერ უკვე
ანექსირებული იყო-ო.“ მეფის რუსეთის ასეთ ნაბიჯს ქართველთა
დაუყოვნებელი პროტესტი მოჰყვა. 1801 წლიდან 1812 წლამდე
ქვეყნის არაერთ რეგიონში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვ-
ლებს, რისთვისაც მრავალი ქართველი პატრიოტი, მათ შორის ამ
სტრიქონების ავტორის ორი დიდი ბიძა, ციმბირში გადაასახლეს.

სწორედ აქედან დაიწყო ქართველთა ელემენტარული უფლე-
ბების შეზღუდვის ხანა“ (22 გვ. 8).

საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევის შემდეგ
ჩერქეზიშვილების „ბედის ჩარხიც“ უკუღმა დატრიალდა. კახეთის
რჩეული შვილების ჯორჯაძეების, ანდრონიკაშვილების, ჩოლოყაშ-
ვილების, ვაჩნაძეების, ჯანდიერების მხარდამხარ ჩერქეზიშვილებიც
პირველი დღეებიდანვე აქტიურად ჩაებნენ ეროვნულ-განმათავისუ-
ფლებელ ბრძოლაში.

ვფიქრობთ, ვარლამ ჩერქეზიშვილის თავმდაბლობით უნდა
აიხსნას ის გარემოება, რომ 1812 წლის აჯანყებასთან მიმართებაში
მხოლოდ ორი ნათესავი მოიხსენია. მაშინ, როდესაც ჩვენს ხელთ
არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნათელი ხდება აჯანყებაში
დიდი ჯან ასლან ჩერქეზიშვილის შვიდი პირდაპირი შთამომავლის
მონაწილეობა. აქედან ერთი - კონსტატინე ჯან ასლანის ძე
ჩერქეზიშვილი, ვარლამის პაპა გახლდათ. ხოლო მეორე - ედიშერ

პაპუნას ძე ჩერქეზიშვილი მისი პაპის ბიძაშვილი იყო.¹

ამავე პერიოდში, შესაძლოა, ცოტა უფრო ადრეც (ყოველ შემთხვევაში რუსეთთან შეერთების შემდეგ), უნდა მომხდარიყო ჩერქეზიშვილთა ერთიანი დიდი ოჯახის გაყოფაც: რამაზის შვილებად, ჯან ასლანის შვილებად, გიორგის შვილებად, ნიკოლოზის შვილებად და სხვა, როგორც ეს 1884 წლის გაზეთ „ივერიაში“ კახელ თავადთა გვარების ჩამოთვლისას იყო აღნიშნული (6 გვ. 113). ვარლამის ოჯახი ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის მიხედვით ჯან ასლანის შვილთა შტოს უნდა ეკუთვნოდეს, რამეთუ XVII საუკუნიდან მოყოლებული, შვიდი თაობის მანძილზე, მხოლოდ ვარლამის უშუალო წინაპრები (მისი პაპის ჩათვლით) საკუთარ შვილებს ჯან ასლანს არქმევდნენ, ისევე როგორც მათ თვითონ ყველას კონსტანტინე ერქვა. ვარლამის მამამ, ჯან ასლან კონსტანტინეს ძე ჩერქეზიშვილმა, პირველმა დაარღვია ეს საუკუნოვანი ტრადიცია და, მიუხედავად იმისა, რომ ხუთი ვაჟი ჰყავდა არც ერთისთვის კონსტანტინე არ დაურქმევია.

საინტერესოა თვითონ ვარლამის მამის სახელთან დაკავშირებული ისტორიაც. აი რას ვკითხულობთ თბილისის მაზრის სათავადაზნაურო საკრებულოს წინამძღოლის 1854 წლის 9 დეკემბერთ დათარიღებულ ცნობაში: „ცნობა ეძლევა თბილისის მაზრის მემამულეს თავად ჯან ასლან (იგივე ტატო) კონსტანტინეს ძე ჩერქეზოვს მასზედ, რომ ის ნამდვილად არის პიროვნება, რომელიც მისი უდიდებულესობის მიერ 1850 წლის დეკემბერში დამტკიცებულ ქართველ თავად-აზნაურთა სიაში მოხსენებულია მხოლოდ ჯან ასლანის სახელით №332 და, რომ ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით მას ბავშვობიდან ეძახდნენ ხან ჯან ასლანს, ხან ტატოს.“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცნობის ბოლოში გაკეთებულია დასკვნა, რომ „ჯან ასლანი და ტატო ნამდვილად ერთი და იგივე პიროვნებაა“ (13 გვ. 25).

1. აი რას ვკითხულობთ აღნიშნულის თაობაზე ვ. ჩერქეზიშვილის ნაშრომში „საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან“: „თავადაზნაურთა შორის იყვნენ ანდრონიკაშვილები, ბარათაშვილები, ჰავკვაძეები, ლეონიძეები და ა.შ. დაპატიმრებული იქნა თქვენი მონა-პორჩილის დიდი პაპაც, რომელიც მოვიანებით ციმბირში გადაასახლეს“ (21 გვ. 844).

ვეიქრობთ, სწორედ აღნიშნულია ვარლამ ჩერქეზიშვილის მამის სახელთან დაკავშირებით დღემდე შემორჩენილი აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი

ასე მაგალითად, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვარლამი მოხსენიებულია, როგორც ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი (5 გვ.103). იმავეს ვკითხულობთ პ. რატიანის წიგნში თურგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან" (2 გვ. 325). ბ. ნიკოლაევსკის ბიოგრაფიულ წერილში ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზოვი" (20 გვ. 222-232), რუსეთის რევოლუციურ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონში (19 გვ. 445) და სხვ. 1999 წელს გამოცემულ ბროშურაში ვარლამ ჩერქეზიშვილი ეროვნული საკითხის შესახებ" ჩვენ მიერაც იგივე მოსაზრება იყო გაზიარებული (3 გვ. 7).

არსებობს ავტორთა მეორე ჯგუფიც, რომელთა შრომებში ქართველი პოლიტიკოსი მოხსენიებულია, როგორც ვარლამ ესტატეს ძე ჩერქეზიშვილი. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ფ. ნადიბაიძის წიგნი „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები“ (1 გვ.115), გ. შარაძის „უცხოეთის ცის ქვეშ“ (4 გვ.110-118), 1920 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული საინტერესო წერილი „ჩვენი მოღვაწენი“ (7 გვ. 2-3) და სხვ.

ვარლამი ჯონ ასლანის ძედ ჰყავს მოხსენიებული რუსული ანარქიზმის ისტორიის კარგ მკოდნეს, ბ. კოზმინს, წიგნში „რევოლუციური იატაკქვეშეთი თეთრი ტერორის ეპოქაში“ (18 გვ. 23). თავის ცნობილ ხუთტომეულში „ანარქიზმის ისტორია“ (Geschichte der Anarchie), ნეჩაეველთა პროცესის მასალებზე დაყრდნობით, იმავეს იმეორებს მაქს ნეტლაუც (23 გვ. 421).

აი ეს სამი სახელი (ცალკეულ შემთხვევებში ნიკოლოზი და ჯან ასლანი ერთადაც, ეს უკანასკნელი უფრო ზედმეტსახელის ფორმით) გვხვდება ჩვენ მიერ მოძიებული და შესწავლილი ოცზე მეტი ავტორის შრომებში. მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასახელებული დოკუმენტების საფუძველზე მომავალში სახელი ნიკოლოზი ამ ჩამონათვლიდან უნდა გამოირიცხოს. რაც შეეხება სახელებს ჯან ასლანსა და ტატოს, იმავე დოკუმენტზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, მათ ორივეს არსებობის თანაბარი უფლება გააჩნიათ და საბ-

ოლოოდ ქართველი პოლიტიკოსი უნდა მოვიხსენიოთ, როგორც ვარლამ ჯან ასლანის (ტატოს)-ძე ჩერქეზიშვილი.

საგულისხმოა, რომ არქივში მოძიებული მასალების თანახმად შერქმეული სახელები ჩერქეზიშვილთა არც წინა თაობებისათვის ყოფილა უცხო. ასე მაგალითად, ვარლამის დიდ პაპას, კონსტანტინეს, ზედმეტსახელად „ალადიმი“ რქმევია. მაგრამ ეს იყო XVIII საუკუნეში. XIX საუკუნეში კი როგორც ჩანს ამიერკავკასიაში რუსეთის გაბატონებასთან ერთად აღმოსავლურ სახელებს ყადრი გაუვიდათ და გამორიცხული არ არის, პატარა ჯან ასლანის ანლობლებმაც ამ მოსაზრებით მოუტებნეს შემცვლელი „მის ზედმეტად არარუსულ“ სახელს.

სამწუხაროდ, ცვლილებები ტატოს ცხოვრებაში ამით არ დასრულებულა. პირიქით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის მამამისი და მასთან ერთად ოჯახის ახლო ნათესავები: ედიშერ, ნინია, რამაზ, გივი, ბარძიმ ჩერქეზიშვილები დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს (17 გვ. 11). კიდევ ერთი ნათესავი, დაბეზღებითა და ჯაშუშობით შეწყუბებული, ჩერქეზ ჩერქეზიშვილი კი სპარსეთში გადახვეწილა (9 გვ. 2).

ასე აღმოჩნდა ექვსი წლის ტატო¹ დედასთან ერთად მართო მკაცრი ცხოვრებისა და რუსი ჩინოვნიკების პირისპირ. ჩინოვნიკებისა, რადგან რეპრესიები ამბოხებულთა გადასახლებით როდი დამთავრდა. რუსული „სახელმწიფო მანქანა“ მუშაობას განაგრძობდა და მიწასთან ასწორებდა ყველას და ყველაფერს, რაც მის ნებას წინ დაუდგებოდა.

სამოქალაქო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ ფიოდორ ფილიპეს ძე სიმონოვიჩის ბრძანებით, დაიწყო ამბოხებულთა, ანუ როგორც მათ კიდევ უწოდებდნენ, „იზმენნიკთა“ ქონების აღწერა-კონფისკაცია. ახალი წლის წინა დღეებში, 1813 წლის 29 დეკემბერს დედა-შვილ ჩერქეზიშვილებს ამ მიზნით ხერსონის გრენადერთა პოლკის მაიორი შმატოვი ეწვია. უნდა ითქვას, რომ მაიორმა ზედმიწევნით ზუსტად, „კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით“,

1. მეორე ვაჟი, თამაზი, კონსტანტინე ჩერქეზიშვილს მხოლოდ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 1823 წელს შეეძინა.

შეასრულა რა დაკისრებული მოვალეობა ტატოს და დედამისს სარჩოდ წლის მოსავლიდან მხოლოდ მესამედი დაუტოვა. მოსავლის დანარჩენი ნაწილი კი სახელმწიფომ წაიღო. ჩერქეზიშვილების ოჯახიდან წაყვანილ დიდძალ პირუტყვთან ერთად, ამიერიდან სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა ასევე წინაპრებისგან კონსტანტინე ჩერქეზიშვილის მიერ შემკვიდრებით მიღებული მიწებიც (17 გვ. 39).

ამრიგად, როგორც ვხედავთ და როგორც ეს ჭეშმარიტი მამულიშვილებისგან იყო მოსალოდნელი, საქართველოს ბედი გასაოცარი სიზუსტით აისახა ჩერქეზიშვილების დიდ ოჯახზეც. სულ რაღაც ათ წელიწადში მთელ სამეფოში ცნობილი და დაფასებული ოჯახიდან, შეიძლება ითქვას, სახელია დარჩა და ესეც აღიზიანებდა ხელისუფლებას. ის ყველა ღონეს ხმარობდა, რათა აჯანყებულებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ მოსახლეობაში სიძულვილი დაეთესა, მათგან მტრის ხატი შეექმნა. სხვა ახსნა ძნელია მოეძებნოს საკუთარი სამშობლოს, მეფის მიერ დადებული ხელშეკრულების დასაცავად გამოსული ერის საუკეთესო შვილებისათვის მოღალატის, „იზმენნიკის“ სამარცხვანო იარაღის მიყვრებას. იმპერიის ერთგული მსახურები უკან არაფერზე იხვედნენ. დაბეზღება, ცილისწამება, ჯაშუშობა ხელისუფლების მიერ ყოველმხრივ წახალისებული იყო. აკი წერდა ვ. ჩერქეზიშვილი, რომ „გენერლების: გუდოვიჩის, კნორინგის, ლაზარევის და სხვათა მოხსენებით ბარათები სავსე იყო მათ მიერ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემორალიზებისა და კორუმპირების მცდელობის გულისამრევი დეტალებით“-ო (21 გვ. 842).

აი, ასეთ გარემოში მოუწიათ ცხოვრება უმამოდ დარჩენილ ტატოს და დედამისს. ვიდრე 1818-1820 წლების ამინისტიის საფუძველზე ციმბირში გადასახლებულ ქართველ თავადიშვილთა ერთ ნაწილს სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცეს. გადასახლებიდან დაბრუნდა კონსტანტინე ჩერქეზიშვილიც. მაგრამ, როგორც იტყვიან მისი და მისი ოჯახის სრული რეაბილიტაცია კიდევ დიდხანს არ მომხდარა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმპერატორის მიერ მხოლოდ 1850 წლის 6 დეკემბერს იქნა აღიარებული ჯან ასლან (ტატო) ჩერქეზიშვილი თავადის უფლებებში და შესაბამისად შეყვანილი ქართველ თავად-აზნაურთა სიებში (13 გვ. 21).

მისი უდიდებულესობის, იმპერატორის, წყალობამდე სულ რაღაც ოთხიოდე წლის წინ კი ტატოსა და მის მეუღლეს ქეთევანს ღვთის წყალობა კიდევ ერთი ვაჟის, პატარა ვარლამის, სახით მოევლინათ. შეიძლება ითქვას, საოცრად გაგვიმართლა, როდესაც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადების შესახებ საუკუნენახევრის წინ გაცემულ ერთ მეტად საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ. აი რას ვკითხულობთ მასში: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით საქართველო-იმერეთის¹ მმართველი უწმინდესი სინოდალური კანტორის მიერ, თოხლიაურელ მემამულეს, თავად ტატო კონსტანტინეს ძე ჩერქეზიშვილს, მისი შვილის ვარლამის დაბადებისა და ნათლობის შესახებ მეტრიკული მოწმობის მისაღებად შემოტანილი თხოვნის საფუძველზე ეძლევა ცნობა, რომლის შედგენისას გაირკვა, რომ სოფ. თოხლიაურის საკვირაო ეკლესიის მეტრიკაში 1846 წელს რიგითი ნომრით 9, გაკეთებულია ასეთი ჩანაწერი: თოხლიაურელი მემამულის თავად ტატო კონსტანტინეს ძე ჩერქეზიშვილისა და მისი კანონიერი მეუღლის, ქეთევან გიორგის ასულის, ორივე მართმადიდებელს² ა აღმსარებლობის, შვილი ვარლამი დაიბადა 3 სექტემბერს და მოინათლა 6 დეკემბერს მღვდლის, სიმონ კობიევის მიერ, მიმრქმელი იყო ვეჯინელი მემამულე თავადი ივანე იოსების ძე შალიკაშვილი.“² მოწმობა ხელმოწერილია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიმანდრიტ გერონტის მიერ და გაცემულია 1854 წლის 22 ნოემბერს (13 გვ. 33).

საარქივო დოკუმენტებიდან ასევე ირკვევა, რომ ტატოს და ქეთევანს დიდი ოჯახი შეუქმნიათ. ვარლამის გარდა, მათ კიდევ შვიდი შვილი ჰყოლიათ. აქედან უფროსი ვაჟი, ილია, ადრეულ ასაკში გარდაცვლილა. 1854 წლის კამერალური აღწერის მონაცე-

1. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს 1846 წლის 13 ოქტომბერის ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ 1846 წლის დეკემბრამდე სწორედ ასეთი მზოგონილი „საქართველო-იმერეთის გუბერნიის“ სახელით მოიხსენიებოდა თითქმის მთელი ამიერკავკასია, გარდა კასპიის ოლქისა (16 გვ.1).

2. შესაბამისად ვარლამ ჩერქეზიშვილი დაიბადა ახალი სტილით 16 და არა 15 სექტემბერს, როგორც ავტორთა ამსოლუტური უმრავლესობა და მათ შორის ჩვენც ამ თარიღს დღემდე ავლნიშნავდით.



საგვარამუდობი.

*ჩემი ვაჟი ვ. ჯერკეზიშვილი
დაბადდა, არ ზეგანო ჯერკე
ზიშვილი. საგვარამუდობის
ყარა გიორგი ჯერკეზი, ნაკვეთი
საგვარამუდობის მფლობელი გიორგი
ჯერკეზი და მისი, რომელიც
ცხადდა ჟენიკოვი, ძვანაა იმ
გვარამუდობის, ვინა
რითა ვინა იმისა და ნაკვეთი
მისი, ყველა მისი ნაკვეთი, უნდა
ბრუნდეს, რამა და მისი გვარამუდობის
საგვარამუდობის ვინა
და 1854 წელს იქამდე. საგვარამუდობის
საგვარამუდობის, მისი საგვარამუდობის
საგვარამუდობის ნაკვეთი მისი
ნაკვეთი ჯერკეზი და მისი
მისი და ნაკვეთი ჯერკეზი,
მა და ნაკვეთი მისი
ნაკვეთი და მისი და მისი
და მისი და მისი და მისი*

1854 წლის 22 ნოემბერს ვ. ჯერკეზიშვილის დაბადებისა და თავადური წარმოშობის შესახებ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მიერ გაცემული მოწმობა.

A certificate on the birth and aristocratic origin of V. Cherkezishvili, issued on 22-nd of November, 1854.

მებით უკვე გათხოვილი იყო უფროსი ქალიშვილი დარია. ვარლამზე შესაბამისად 10 და 4 წლით იყვნენ უფროსი მისი დები ელისაბედი და სოფიო. 1844 წლის პირველ სექტემბერს დაიბადა მიხეილი, შემდეგ მოდიოდა ვარლამი და ბოლოს ოჯახის კიდევ ორი ვაჟი ვარლამზე 6 წლით უმცროსი დავითი და 1855 წლის 4 იანვარს დაბადებული სიმონ ჯან ასლანის (ტატოს) ძე ჩერქეზიშვილი (15 გვ. 28 და 13 გვ. 22).

როგორც ჩანს, ოჯახში თბილი, ურთიერთაბატივისცემის გრძნობით გამსჭვალული ატმოსფერო სუფევდა. აღნიშნულზე მეტყველებს თუნდაც ის დიდი სიყვარული, რომლითაც საკუთარ წერილებში ვარლამი ადამიანის სრულფასოვან, ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში „ჩვენთა დედათა, ნათესავ ქალთა“ და ზოგადად ოჯახის მნიშვნელობაზე საუბრობს. „სკოლას და საზოგადოებას - წერდა ის - შეუძლია მოგვეცეს ცოდნა, მრავლად განავითაროს ესათუ ის ნიჭი, უნარი, გადაგვაქციოს ტალანტით მოსილ კაცებადაც კი... მაგრამ ძირითადი მიდრეკილებანი ჩვენის ხასიათისა ჩნდება ოჯახში, ჯერ ისევ ჩვილობისა და ყრმობის დროს, ჩვენთა დედათა ზემოქმედების მკობებით“-ო (8 გვ. 2).

- ვფიქრობთ, ტატო შზრუნველი მამა უნდა ყოფილიყო. მას შვილების აღზრდა-განათლების საქმისთვის ცდა არ დაუკლია. ეს კარგად ჩანს მის მიერ 1854 წლის დეკემბერში მმართველი სინოდისა და იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სახელზე შედგენილი წერილებიდანაც. საგულისხმოა, რომ მათში ვარლამთან ერთად მოხსენიებულია მისი უფროსი ძმა მიხეილიც. ამასთან, მითითებულია, რომ ტატო ჩერქეზიშვილს საბუთები მიხეილისა და ვარლამის სასწავლებლად გამწესებისას, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად სჭირდებოდა“ (13 გვ. 21-24).

ზემოთ აღნიშნული, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შესაძლოა 1855 წელს ვარლამი მარტო არ წასულა რუსეთში და მასთან ერთად სასწავლებლად მისი უფროსი ძმაც გამგზავრებულა. მით უფრო რომ მოგვიანებით ცალკეულ ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერები მიხეილ ჩერქეზიშვილის მიერ გამართულ რუსულ ენაზეა შესრულებული. რასაც ქართველების მხრიდან გასული საუკუნის 60-იანი წლების საკანცელარიო საქმის წარმოებაში ჯერ კიდევ იშვიათად ვხვდებით.

ჩვენ, რასაკვირველია, შეგვეძლო გაგვეგრძელებინა ვარლამ ჯან ასლანის (ტატოს) ძე ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიის თხრობა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე ახალი და საინტერესო მასალები გვაქვს მოძიებული მისი რუსეთში (1855-1876 წ.წ.), ევროპასა (1876-1925 წ.წ.) და საქართველოში (1906-07; 1917-21 წ.წ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ დიდ ბრიტანეთში სამეცნირო მივლინების წინ ამას შეგნებულად არ ვაკეთებთ, რამეთუ მივლინების შედეგებზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ამაჟამად ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით დაწერილ ბიოგრაფიაში მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა კი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფ. ნაღბაიძე - ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. კრებული 1, გამ. „მეცნიერება“, თბილისი, 1969.
2. პ. რატიანი - თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიის ნარკვევები. გამ. „საბჭ. მწერალი“, 1962.
3. გ. ფერაძე - ვარლამ ჩერქეზიშვილი ეროვნული საკითხის შესახებ. გამ. „რასტრი“, თბილისი, 1999.
4. გ. შარაძე - უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი 3, გამ. „მერანი“, თბილისი, 1993.
5. ქართული „საბჭოთა ენციკლოპედია“ ტომი 11, თბ. 1987
6. ჟურნალი „ივერია“. 1884, №4.
7. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918, №27.
8. გაზეთი „ივერია“, 1894, №135.
9. გაზეთი „მეგობარი“, 1906, №27.
10. გაზეთი „საქართველო“, 1917, №184.

11. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 114.
12. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 765.
13. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 809.
14. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 2085.
15. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 213, აღწერა 1, საქმის ერთეული 2128.
16. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 254, აღწერა 1
17. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი ფონდი 254, აღწერა 1, საქმის ერთეული 305.
18. Б. Козмин – «Революционное подполье в эпоху белого террора», М., 1929г., изд. «Политкаторжан».
19. Био-библиографический словарь «Деятели революционного движения в России» т.1, изд.»Мсполиграф», Москва, 1928.
20. Журнал «Каторга и ссылка» историка – революционный вестник, 1926. №4.
21. V. E. Cherkezov – “Georgian Treaties with Russia”, London, “The nineteenth Centuri” a montly Riview. Edited by James Knowless. May 1895.
22. V. Tcherkesoff - “La Georgie”, Paris, Imp.L.Pochy, 1919.
23. Max Nettelau – “Geschichte der Anarchie”, band 5, Topos Verlag, Vaduz Liechtenstein, 1984.

დარღვეული ხელშეკრულება*

აღმოსავლური საკითხის წარმოშობის დღიდან საქართველო ყოველთვის საომარი მოქმედების ასპარეზს წარმოადგენდა. ამჟამად, რომ ის ახლო მომავალშიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, როდესაც ევროპისა და აზიის მტრული სახელმწიფოები ერთმანეთს შეასკდებიან. მიუხედავად აღნიშნულისა, თუ მხედველობაში ოფიციალურ რუსულ წყაროებს არ მივიღებთ, რომელნიც ზოგადად საიმედოობით არ გამოირჩევიან, რამდენიმე სპეციალისტის გარდა, ევროპაში საქართველოს შესახებ არავინ არაფერი იცის. ამიტომ, ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა ბრიტანული საზოგადოებისათვის გაგვეცნო იმ ქვეყნის რეალური პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, რომლის გეოგრაფიული მდებარეობაც მას აღმოსავლეთში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი, წარმოადგენენ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის დასაყრდენს ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში. თბილისიდან ხელმძღვანელობს რუსეთის მთავრობა ჯარების გადაადგილებას და ტოპოგრაფიულ კვლევებს ავღანეთის საზღვრებთან; სწორედ აქედან, ეწყობა სხვადასხვა ქვეყნებზე, ხან სპარსეთზე, ხან თურქეთზე თავდასხმები და ხდება მათი მიწების ანექსირება. თვით ვარნის, ბურჯასის და სხვა ბულგარული პორტების ოკუპირების გეგმაც 1886 წლის ნოემბერში თბილისში შემუშავდა და ექსპედიციის გაგზავნაც ქართული პორტებიდან: ბათუმიდან, ფოთიდან და სუხუმ-კალედან¹ იყო განსაზღვრული.

* ვ. ჩერქეზიშვილის წინამდებარე ნაშრომი გამოქვეყნდა ლონდონის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ჟურნალში „XIX საუკუნე“ (რედაქტორი ჯეიმს ნოულზი), 1895 წლის მაისის თვის ნომერში. ჟურნალი ინახება ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში.

1. ბულგარეთში გენერალ კაულბარსის ცნობილი აგიტაციის დროს დასავლეთისა და ცენტრალური ამიერკავკასიის (ანუ საქართველოს) ჯარები საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ.

რუსეთისათვის საქართველოს, მისი ციხე-სიმაგრეების, უღელტეხილების, უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების, ნაყოფიერი დაბლობების² ფლობის უზარმაზარი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის მიუხედავად, ყირიმის ომიდან მოყოლებული, რუსეთის მთავრობა ქვეყანაში ატარებს ისეთ საშინაო პოლიტიკას (განსაკუთრებით, ალექსანდრე მესამის მმართველობის დროს წახალისებული ძალისმიერი რუსიფიკაცია), რომელიც ყველანაირად ხელს უშლის, აბრკოლებს ქვეყნის ეკონომიკურ და ინტელექტუალურ წინსვლას. ბუნებრივია, ასეთ ღონისძიებათა უწყვეტი ჯაჭვი იმ ქვეყნის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს, რომელიც ნებაყოფლობით, ხელშეკრულებით შეუერთდა რუსეთს. მოსახლეობისა, რომელიც ყოველთვის ვაკვაცურად იცავდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს და რომელსაც ყავდა მთელი პლეადა უბრწყინვალესი გენერლებისა ბაგრატიონით და ციციცმვილით დაწყებული, ამილახვრით, იმერეტინსკით, ჭავჭავაძით, ორბელიანით და ა.შ. დამთავრებული.

ძალდატანებითი რუსიფიკაციის ფაქტორი დოქტრინის შედეგად, რომელსაც ცნობილი უკრნალისტი კატკოვი ჯადაგებდა, ალექსანდრე მესამის მთავრობამ საქართველოსთან, როგორც დაპყრობილ ქვეყანასთან, ისე წარმართა ურთიერთობა. მათ დაივიწყეს, რომ ქართველებმა ყირიმის ომის ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი უერთგულეს ხელშეკრულების პირობებს და უარყვეს მოკავშირე ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის შესახებ იმ ერთადერთი პირობით შემოთავაზებული წინადადება, დაეცვათ ნეიტრალიტეტი და არ დახმარებოდნენ რუსეთს.³ 1800 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულების მიუხედავად, რომლის ხელშეუვალობაც თვით იმპერატორის სიტყვით იყო გარანტირებული, რუსებმა 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით ქვეყანა სამართავად სამხედრო და ბიუროკრატიულ ადმინისტრაციას გადასცა. თავის სამშობლოში ქართველები თითქმის მთლიანად განდევნეს სახელმწიფო სამსახურიდან, ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, სასამართლოებსა და სკოლებში

2. Евгений Марков „Очерки Кавказа,“

3. Богданович, История восточной войны. წიგნის დანართში იხილეთ ომარ ფაშას პროკლამაცია ქართველებისადმი.

ქართული ენა რუსულით შეცვალეს. ამჟამად მის განდევნას ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი უძველესი ქართული ეკლესიიდანაც ცდილობენ.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქართველ ახალწვეულებს, რომელთათვისაც რუსული ენა, კულტურა, ცხოვრების წესი და საკვებიც კი უცხოა, შორეულ ჩრდილოეთში, ციმბირში აგზავნიან რუსულ სამხედრო შენაერთებში სამსახურის გასაველეად, რაც თავის მხრივ, დეზერტირობის მიზეზი ხდება თანმდევი უმკაცრესი სასჯელებით; სასულიერო სემინარიის სტუდენტებს, მომავალ ქართველ მღვდლებს მშობლიურ ენაზე არა მხოლოდ სწავლას უკრძალავდნენ, ქართულად წიგნის კითხვისთვისაც კი სემინარიიდან რიცხავდნენ,⁴ რასაც სემინარიაში შედეგად მოჰყვა უწესრიგობები და ის საერთოდ დახურეს. ამჟამად, ოფიციალურ პრესაში დაჟინებით მოითხოვენ მმართველობის ორგანოებიდან იმ მკითრეიკობიანი ქართველების დათხოვნასაც, ვინც იქ ჯერ კიდევ შემორჩა⁵ და მოსკოველი გლეხებისათვის მიწების დარიგების გზით რუსული ელემენტის გაძლიერებას. პოლიციის მიერ ხელდასმული ყურნალისტი აპოლოგეტები და ვაი-მეცნიერები სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებიდან, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა⁶ და ამის გამო, ხელისუფლებას შეუძლია მას ისევე მოეპყროს, როგორც პოლონეთს და ჩერქეზეთს 1863-64 წლებში. საზოგადოების საუკეთესო და განათლებული ნაწილი, არა მხოლოდ საქართველოში, თვით რუსეთშიც, ზიზლით ადევნებს თვალს რუსიფიკატორთა ამ უკანონობასა და თვითნებობას. მაგრამ საშინაო პოლიტიკა სამწუხროდ, წარმართება არა განათლებული და ჰუმანური რუსეთის მიერ, რომელსაც წარმოადგენენ პუშკინი და რილევი, გერცენი და ბელისკი, ტურგენევი და ტოლსტოი, არამედ ფანატიკური პობედონოსეეების რუსეთის მიერ, რომელიც წარმოადგენილია ვანოვსკის, დურნოვოსა და ჩერევინის სოლდაფონებით

4. Листок, Свободной русской прессы, Лондон, №2 и №7.

5. Новое время, Неделя и др. წერილები პროფ. ხახანაშვილის მოხსენებაზე.

6. Ад. Берже - Присоединение Грузии к России. სემევსკის სამი წერილი „Русская старина-ში“ 1880 წ.

და ჟანდარმებით. ხელშეკრულებების კანონიერების დასაცავად ხმის ამოდებას კი ვერაფერს ბედავს. ნებისმიერს, ვინც კანონისა და სამართლიანობის დაცვას გაბედავს, მკაცრი სასჯელი, პატიმრობა და გადასახლება ემუქრება. მას იგივე მოელის რაც ტვერის თავადაზნაურობას 1861-62 წლებში, ან პეტერბურგის ქალაქის საბჭოს 1867 წელს, ჩერნიგოვის ზემსტვოს და ბოლოს იმერეთის თავადაზნაურობა წინამძღოლს დიმიტრი ყიფიანს, რომელიც პოლიციის აგენტებმა მოკლეს.⁷

მიუხედავად აღნიშნულისა, ოფიციალური რუსული პრესის მიერ დაქირავებული ფრანგი ბერეე მოხერხებულად აყალიბებს სინამდვილეს და საზოგადოებას ატყუებს, თითქოს საქართველო არ იყოს დაპყრობილი ქვეყანა. სულ სხვა რამ არის გათვალისწინებული ასევე 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტითა და ხელშეკრულების ტექსტით, რომელიც რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულშია შესული. ამ მანიფესტში, რომელიც პეტერბურგის ქუჩებში იყო გამოკრული, ჩვენ ვკითხულობთ:

მეფე გიორგიმ⁸ (გრძნობდა რა საკუთარი აღსასრულის მოახლოვებას), თავადაზნაურობამ და ქართველმა ხალხმა ისურვეს ჩვენი მფარველობა... მათ არაერთი ელჩობის მეშვეობით გვთხოვეს, რომ საქართველოს სამეფო და მასში შემავალი რეგიონები დაუყოვნებლივ რუსეთის საიმპერატორო ტახტის მმართველობაში გადმოსულიყვნენ...მათი პეტრიციის თანახმად...ჩვენ გადავწყვიტეთ აღვასრულოთ ირაკლის ვაჟის, გიორგის და ქართველი ხალხის თხოვნა და...გავეკით ბრძანება ჩვენი ჭარბების საქართველოში გაგზავნის შესახებ. ამრიგად ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს საიმპერატორო ნება-სურვილს, რომ საქართველოს სამეფოსთან კავშირის დროს სრულად იქნება შენარჩუნებული და

7. ყიფიანი შექაპირის მთარგმნელი და ქართული გრამატიკის ავტორი 1886 წელს გადაასახლეს და შემდეგ მოკლეს, იმის გამო, რომ პროტესტი გამოთქვა მთვრალი რუსი ბერის საეკიელის გამო, რომელმაც საქართველო ანათემას გადასცა (თავისუფალი რუსული პრესის ფურცლები №2). სხვა საქმეების შესახებ იხ. სტეპნიაკი, ველასი, ქენენი, კოშელევი და გერცენი.

8. გიორგი მეცამეტემ, რომელიც ნაღვლიან მოგონებებს აღძრავს, თავისი თავშეუკავებლობით დაიჩლოუნა გონება. ის ცნობილი იყო „ზაქიყლაპიას“ მეტსახელით. მეფობდა 1798 წლის 11 იანვრიდან 1801 წლამდე. ცოლად ჰყავდა ტრაგიკული ბედის დედოფალი მარიამი, რომელიც რუსის გენერალმა ლაზარემა შეურაცყო (იხ. როტიერსი, ბოდენსტედტი და უორდროპის „საქართველოს სამეფო“).

დაფასებული არა მარტო ჩვენი ახალი სუბიექტის, საქართველოს სამეფოსა და მისი რეგიონების უფლებები და პრივილეგიები, არამედ თითოეული პიროვნების კანონიერი საკუთარბაც; ამიერიდან...ისინი დამატებით მიიღებენ ყველა იმ უფლებას, იმუნიტეტს, უპირატესობას და პრივილეგიას, რომლითაც სარგებლობენ ჩვენი დანარჩენი სუბიექტები...ისინი ჰპოვებენ ნუგეშს ჩვენი მფარველობის ქვეშ...გაცემულია სანქტ-პეტერბურგში ქრისტეს დაბადებიდან 1801 წლის იანვრის მე-18 დღეს; და ჩვენი მეფობის მეხუთე წელიწადს და მალტაზე ჩვენი წარმატების მესამე წელიწადს. ორიგინალი ხელმოწერილია მისი საიმპერატორო უდიდებულესობის საკუთარი ხელით, შემდეგნაირად.

„აქელ“

ამ ხელშეკრულების ქვემოთმოყვანილი ფრაგმენტები ნათლად გვიჩვენებენ თუ რა უფლებები ჰქონდა გარანტირებული საქართველოს საიმპერატორო მანიფესტით:

1. მეფე გიორგი, თავად-აზნაურობა, სასულიერო წოდება და ხალხი გამოთქვამენ სურვილს ერთხელ და სამუდამოდ განდნენ რუსეთის იმპერიის სუბიექტები და საკუთარ თავზე აიღონ რუსეთის სახელმწიფოს სუბიექტებზე დაკისრებული ყველა უფლება-მოვალეობა,

2. მეფე გიორგი და მისი მემკვიდრენი რჩებან ტახტზე მეფის ტიტულით და ინარჩუნებენ სამეფოს მართვის უფლებას საკანონმდებლო ძალაუფლების გარეშე,

3. მეფეს დაენიშნოს ხელფასი და გამოეყოს მამულები რუსეთში, ხოლო საქართველოს შემოსავალი და მალაროებიდან მიღებული მოგება მთლიანად იმპერატორის კონტროლს დაექვემდებაროს,

4. ქართველი ხალხი განთავისუფლდეს გადასახადებისგან 12 წლის მანძილზე,

5. მოიკრას ფული, რომელზეც ცალ მხარეს გამოსახული იქნება საიმპერატორო მონოგრამა, ხოლო მეორე მხარეს-ქართული გერბი,

6. პუნქტები 4-7, 10-14 და 16 განსაზღვრავენ:

7. რომ საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ექვსი ათასს, ბ) როგორ მოხდეს საქართველოში განლაგებული ციხე-სიმაგრეების გამოყენება, გ) მათი მეთაურების დანიშვნა, დ) ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობების შშენებლობა, ე) რომ ქართველები სამხედრო სამსახურს გაივლიან ეროვნულ მილიციაში, ეროვნული სამოსით, ვ) რომ რუსეთის ჯარმა სურსათი უნდა შეიძინოს ბაზარში, ზ) საქართველო დაკული უნდა იყოს გარეშე მტრებისაგან, თ) როგორი უნდა იყოს დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის უფლებები და სხვ.

მე-15 მუხლის თანახმად ყველა ქართველი სარგებლობდა იმავე უფლებებით, რაც რუსეთის სხვა სუბიექტებს ჰქონდათ.

ასეთია ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ იმპერატორი პავლე, საქართველოს ელჩი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე და მისი თანმხლები პირნი. არ არსებობს რაიმე სხვა ხელშეკრულება ან შეთანხმება საქართველოს მმართველობის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნებოდა ამ ქვეყნის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. შესაბამისად, მთელი ძალაუფლების საიმპერატორო მთავრობის ხელში გადასვლა არ შეესაბამება ხელშეკრულებას და მის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ხელშეკრულების ორიგინალი მომზადდა ორ ეგზემპლარად; ერთი პირი შენახულ იქნა პეტერბურგში და გამოქვეყნდა რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში; ქართული ორიგინალი, რომელიც საქართველოში გამოქვეყნდა 1801 წლის 17 თებერვლიდან ინახებოდა თბილისში, სიონის უძველეს საკათედრო ტაძარში. მაგრამ ყირიმის ომის დროს რუსეთის მიტროპოლიტის ისიდორეს მიერ ის საიდუმლოდ იქნა გატანილი პეტერბურგში. ამ ხელშეკრულების პუნქტების დეტალური ანალიზი მოცემულია ქვემოთ დასახელებულ ისტორიული ხასიათის შრომებში:

B. Rottiers, *Itinéraire de Tiflis á Constantinople*. Bruxelles, 1829 (British Museum, 10076 c.1).

პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, გვ. 114-138.

П. Г. Бутков, *Материалы для новой истории Кавказа*, С. Пб., 1869, т.2, 461-62

Н. Дубровин, *Закавказие с 1803 по 1806 год*. С.Пб., 1866.

F. Bodenstedt, *Die Volker des Kaukasus*, gives a brief account.

II

ქრისტიანობა საქართველოში

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ საქართველოში მომავალ მღვდლებს მშობლიურ ენაზე კითხვა ეკრძალებათ. ნუთუ ქრისტიანობისა და კულტურისათვის ეს ენა მართლა უცხოა და

ამოძრავებთ კი, რუს რეაქციონერებს პოზედონოსცევის მეთაურობით რელიგიისა და ცივილიზაციის ინტერესები. მათ ხომ ასე უყვართ აღმოსავლეთში საკუთარი განმანათლებლური მისიის შესახებ საუბარი!

ანტიკურ ეპოქაში ბერძნებისთვის კოლხეთის სახელით ცნობილმა საქართველომ, იბერიამ, ლეთისმშობლის წილხვედრმა ქვეყანამ შუასაუკუნეებში ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ქრისტიანობა. გადმოცემის თანახმად, აფხაზეთში დღემდე არის ნანგრევების სახით შემორჩენილი ეკლესია, რომელშიც წმინდა ანდრია პირველწოდებულს უქადაგია. მეხუთე საუკუნის მწერლები ირენაუსი და ბარონიუსი გვიყვებიან, რომ ტრაიანეს მმართველობისას (ჩვ. წ-აღმდეგ 98-117) ეპისკოპოს კლიმენტის დროს კოლხეთსა და იბერიაში ბევრი ქრისტიანი ცხოვრობდა. კაბადოკიაში კი, რომელიც ქართველებით იყო დასახლებული მე-3-4 საუკუნეებში, უკვე 50 საეპისკოპოსო ყოფილა.⁹ 318 წელს, საქართველოს მეფის მირიანისა და წმინდა ნინოს დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. კეისარი პროკოპიუსი ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში აღნიშნავდა, რომ ყველა იმ ხალხებს შორის კისაც კი ის იცნობდა, იბერიელები ყველაზე უკეთ იცავდნენ ქრისტიანობის ადათებს.¹⁰ ქრიატიანობასთან ერთად მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდა ბერძნული განათლება და კულტურა, რამაც განვითარების მწვერვალს დავათ აღმაშენებლისა (1089-1125) და მისი მემკვიდრეების, განსაკუთრებით დიდი თამარ დედოფლის (1184-1212) მმართველობის პერიოდში მიაღწია. ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ბერძენი ფილოსოფოსებისა და პოეტების ნაწარმოებები, ქართველი ახალგაზრდები სასწავლებლად მიემგზავრებოდნენ ათენსა და ბიზანტიაში. ეროვნული ლიტერატურა ამაყობდა რუსთაველის ეპიკური ქმნილებით „ვეფხისტყაოსნით“, რომელიც ფორმის სილამაზით, თხრობის ელეგანტურობითა და წარმოსახვის სიმდიდრით არაფრით ჩამოუვარდება ფირდოუსისა და ტასოს ნაწარმოებებს. იმ ეპოქის მრავალრიცხო-

9. Профессор Чубинов - О древних обогригенах Кабадокии и Дчанети.

10. М. Д-швили - Грузинские обители на св. земле.

ვანი ლიტერატურული და არქიტექტურული ძეგლები ქვეყნის ცივილიზაციის მაღალ დონეზე მოწმობენ. ამავდროულად, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა მცირე აზიასა და პალესტინაში გაბატონებულს უახლოვდებოდა. მართალია, საქართველოს ძლევამოსილება და გავლენა უმთავრესად ქრისტიანობის დაცვაში გამოიხატებოდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო მუსულმანური დაპყრობების და ჯვაროსნული ომების ეპოქა. მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი წერს:

„თამარმა სამშვიდობო ხელშეკრულება დადო დამასკოს სულთანთან... მას შემდეგ სულთნები უფრო პუმანურად ეპყრობიან ქრისტიანებს... მონასტრებზე ბევარა შემიკრდა... აიკრძალა იერუსალიმში სალოცავად მიმავალი ქრისტიანების ძარცვა-დაწიოკება, განსაკუთრებით თუ ისინი ქართველები იყვნენ... სასულთნოებსა და იერუსალიმში, სადაც თამარს დიდ პატივს მიაგებდნენ ისინი განთავისუფლდნენ გადასახადებისაგან.“¹¹

იერუსალიმის პატრიარქი, დოსითეუსი წერს:

„ღვთის მოსავი იბერიელი მეფეები ყოველთვის იყვნენ წმინდა საფლავისა და სხვა წმინდა ადგილების გამგებელნი და მცველნი-ო.“¹²

ბერძნებისა და ფრანკების მიერ არაბებისა და მათი სულთნების წინააღმდეგ წარმოებული ომის დროს წმინდა მიწაზე აგებული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები თითქმის მთლიანად განაგურდნენ, მაგრამ ქართველებმა იხსნეს ისინი.¹³ არაბი ისტორიკოსი შადანა იუწყება, რომ დედოფალმა თამარმა სალადინს 200 000 დინარი შესთავაზა წმინდა ჯვრის სანაცვლოდ და 1187 წელს ქრისტიანებისთვის ჩამორთმეული მონასტრების რესტავრაცია სთხოვა.¹⁴ წმინდა მიწაზე დღესაც შემორჩა ქართველების მიერ აგებული ოცი ეკლესია-მონასტერი, რომელიც რუსეთის მთავრობის მიზენით ამჟამად დაკარგულია.¹⁵

11. Brosset - Additions et éclaircissements, p.416.

12. მისი გადმოცემით ქართველებმა 252 667 ოქროს პიასტრა (მონეტა) გაიღეს წმინდა ჯვრის მონასტრის გამოსასყიდად (Bulletin scientif. t. v.).

13. Seleznev - Bullet. Scient. t.5, p.p. 205-255

14. Профессор Цагарели - Палестинский сборник, т. 4. ст. 49.

15. Джанашвили - Грузинская церковная история, ст. 91-100.



თამარ მეფე (1184-1210)
სურათი აღებულია ო. უორდროპის წიგნიდან
„საქართველოს სამეფო“

Queen Tamar

The portrait is taken from Oliver Wardrop's book
“The Kingdom of Georgia.”

წმინდა სალოცავებზე შზრუნველ ქართველ მონარქთა შორის უნდა მოვიხსენიოთ მირიანი (318-342), გორგასლანი (499), ბაგრატი (980-1014) დავით აღმაშენებელი და თამარი. ქართველებმა არა მარტო პალესტინასა და საკუთარ ქვეყანაში გაამრავლეს მონასტრები, ისინი აშენებდნენ და მატერიალურად უზრუნველყოფდნენ მონასტრებს საბერძნეთში, მონასტრები ჰქონდათ ათონის მთაზე ბულგარეთში, სირიაში, კვიპროსზე, ანტიოქიაში. მეფე დავითმა სინას მთაზე, იმ ადგილზე ააგო მონასტერი, სადაც გადმოცემის თანახმად მოსეს ღმერთი გამოეცხადა და უამრავი ოქროს საჩუქრები გამოუგზავნა.¹⁶

ქრისტიანობის მხარდასაჭერად მუდმივმა მზადყოფნამ აღმოსავლეთის ქრისტიანებში საქართველოს დიდი სახელი და პატივისცემა მოუტანა.

ქართველები (ამბობს სომეხი ისტორიკოსი სანოტი) ძლიან მეომარი და ბრძოლაში გულადი ხალხია. მათ კარგად გამაგრებული ციხე-კოშკები აქვთ, რომელთა მეშვეობით დიდი ზიანი მიაყენეს სარაცილებს, მიდიელებს, სპარსელებსა და ასირიელებს,... მხოლოდ ქართველებს ქონდათ ხარკის გარეშე გაშლილი დროშებით იერუსალიმში შესვლის უფლება. სარაცილები ვერ ბედავდნენ მათთან დაპირისპირებას.¹⁷

ასეთი პატივისცემა მუსულმანთა მხრიდან რუსებთან პირველ ალიანსამდე გაგრძელდა. საქართველო სპარსეთს მე-18 საუკუნის ბოლოს დაუპირისპირდა, ხოლო თურქეთს ეკატერინე მეორის მმართველობის დროს. საგულისხმოა, რომ 1520 წელს, როცა სულთანმა სულეიმანმა წმინდა ჯვრის ეკლესიასთან მცველები დააყენა და თვითოეული მლოცველისაგან ხარკის აკრეფა ბრძანა, კერძოდ: 14 პენსი კათალიკისაგან, 7 ბერძნისაგან, 3-3 არაბისა და ეგვიპტელისაგან, ქართველები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ სალოცავში თავისუფალი შესვლის უფლებას.¹⁸ ცნობებს პალესტინაში საქართველოს უდიდესი გავლენისა და წმინდა მიწაზე ქართველების მიერ აგებული მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტერების შესახებ ხშირად ვხ-

16. M. Brosset - Addit. et ecl. p.416; M. Д. – швили - Грузинские обители.

17. Цагарели

18. Bulletin scient. t.v. 215. Цагарели, в журн. Мин. Народ. Просв.

т. II. ст. 132

ვლებით ევროპელი მოგზაურებისა და პილოგრიმების შრომებში. მათ შორის აღსანიშნავია რაუფოლფი (1575), პრინცი რადვილი (1580), ბერნარ სური (1644 1647), თეოფანე, პაისი, დოსითეუსი, და მე-17 საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქი, რუსი ერუდიტი ბარსკი.¹⁹ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს უკანასკნელმა დამოუკიდებელმა მეფემ ერეკლე მეორემ წმინდა ჯვრის ეკლესიამონასტერი ვალით დაიხსნა.

ყოველი ქართველისთვის (რუსი მწერლის მიხედვით)²⁰ ჯვარი სამშობლოს განსახიერებაა, საკუთარი ეროვნულობისა და ქრისტიანობის დაცვის სიმბოლოა. ქართველი ერი შინაგანად ჯვაროსანი ერა. ქართველი ხალხის ყოფა ლოცვასა და ისლამთან სისხლიან ბრძოლას შორის იყოფა. ათასწლეულზე მეტია მას ხმალი არ ჩაუგია და თუ ჯვარი მისი სამოსელის სამხრეებზე არ იყო დაკრებული, ის ღრმად იყო ამოტვიფრული ერის გულში“.

ჩვენ გადავალეთ მკითხველი ციტატებით, მაგრამ მისგან მიტევენას მოველით როდესაც ვაუწყებთ, რომ პობედონოსცევა და გაუნათლებელმა რუსმა სასულიერო პირებმა წამებულ ერს წმინდა წიგნების მშობლიურ ენაზე კითხვისა და საკუთარი ეკლესიის ისტორიის შესწავლის უფლებაც კი ჩამოართვეს. შესაძლოა ეს დაუჯერებლად უღერდეს, მაგრამ უდაო ფაქტია.²¹ რუსეთის დღევანდელი სასულიერო წოდება აღიზარდა რუსული ბურსისათვის (თეოლოგიური სკოლა-პანსეონი) დამახასიათებელ სრულ უვიცობაში. ყოფილმა მოსწავლემ დამაჯერებლად და საშინელ ფერებში მოუთხრო რუსულ საზოგადოებას, რუსული ეკლესიის მომავალი მღვდლების უხეში, უვიცობით აღსავსე და აღვირახსნილი ცხოვრების წარმოუდგენლად მძიმე დეტალების შესახებ.

ვერც დიკენსის ოლივერ ტვისტში“ და ვერც დოსტოევსკის

19. იხ. ბროსე, სელეზნიოვი, ცაგარელი, ჩუბინოვი, ჯანაშვილი და სხვ.

20. Ев. Марков - Очерки Кавказа, т.2.

21. თბილისის სასულიერო სემინარია დაიხურა ქართველი მოსწავლეების პროტესტის საფუძველზე, რომელთაც ჯერ სწავლა აუკრძალეს მშობლიურ ენაზე, ხოლო შემდეგ სემინარიიდან რიცხავდნენ ქართული წიგნების კითხვისთვის. დაწვრილებით იხ. Листок, Свободной русской прессы, Лондон, №2 и №6.

„მკვდრის სახლში“ ვერ შეხვდებით ისეთ უხეშ და ცინიზმით აღსავსე სცენებს, როგორც ნ. გ. პომიალოვსკის „ბურსის ჩანახატებშია“ მოცემული. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ასეთ დაწესებულებებში აღზარდილ ადამიანები, რუსული სასულიერო ცხოვრების სადავეების ხელში ალების შემდგომ აწყობენ სტუდენტების, ებრაელების, რასკოლნიკებისა და კათოლიკეების ღვენა-შევიწროებას.

ეს უვიცები, თანატოკოსი პობედონოსცევის მეთაურობით, არაფრად დაგიდევნ არც საქართველოს ხელშეკრულებებს რუსეთთან და არც ქართველთა მიერ ქრისტიანობის დასაცავად გაწეულ ისტორიულ ღვაწლს. მათ შესაძლოა საქართველოში იგივე გააკეთონ, რაც გაუკეთეს რუმინელებს ბესარაბიაში. აკრძალონ წმინდა წიგნების ახალი ეგზემპლიარების ბეჭდვა და როდესაც ძველი წიგნების რაოდენობა შემცირდება, ისინი რუსული ეკლესიიდან შემოტანილი წიგნებით შეცვალონ. რაც ბუნებრივია, კიდევ უფრო გაზარდის უკმაყოფილებას. მსურს ამ მტარვალებს, ესპანეთის, სპარსეთისა და თურქეთის მაგალითზე კიდევ ერთხელ შევახსენო იმ ქვეყნების ხვედრი, რომელთაც რელიგიური ტირანიითა და ჩაგვრით ბევრს ვერაფერს მიაღწიეს.

III

რუსული პოლიტიკა საქართველოში

ბიზანტიის დაცემის შემდეგ, საქართველო დანარჩენი ქრისტიანული და ცივილიზირებული სამყაროსაგან სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა. შეუძლებელი გახდა ახალგაზრდების უმაღლესი განათლების მისაღებად უცხოეთში გაგზავნა. თურქების მსახვრალ ხელს გადარჩენილმა ბერძნული განათლების კერებმა თავშესაფარი დასავლეთში, უპირატესად იტალიაში ჰპოვეს. ათენიდან და კონსტანტინოპოლიდან გადასახლებულმა სტუდენტებმა სწორედ აქ ჩაუყარეს საფუძველი ევროპულ რენესანსს, რომლის გამოძახილიც

საქართველომდე ძლივს და ისიც დიდი დაგვიანებით აღწევდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს დასავლეთთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია, განსაკუთრებით რომთან, ვინაიდან ქართველთა ერთი ნაწილი დიდი ხანია კათოლიციზმს აღმსარებლობდა.²² თუმცა, ვერც ყოვლისშემძლე ვატიკანმა, ვერც ლუი მეოთხემეტის საფრანგეთმა, სადაც საბა ორბელიანი ელჩობდა,²³ ვერც ავსტრიელმა იოზეფ II-ემ ვერ შეძლეს ან, არ ისურვეს დანმარებოდნენ საქართველოს, მის მიერ ჯვრის და ქრისტიანული კულტურის გადასარჩენად წარმოებულ ათასწლიან ბრძოლაში.

მძიმე აღმოჩნდა ამ მცირერიცხოვანი ერის ბედისწერა. დღეს მხოლოდ გაოცებას იწვევს, თუ როგორ გადაურჩა იგი ბალკანური ერების მსგავსად გაბარბაროსებას, რომელთა ინტელექტუალური გამოკოცხლება მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში შეინიშნება.²⁴ საქართველოში კი, მართალია XI, XIII საუკუნეების ოქროს ხანასთან შედარებით გაფერმკრთალებული და მინავლებული სახით, მაგრამ ცოდნის ლამპარი მაინც ენთო. 1723 წელს თბილისში სტუმრობისას პეტრე დიდის ელჩებს ქალაქში სკოლებიც დახვდათ და საბეჭდი დაზგებიც, ხოლო პოტაომკინი ეკატერინე II-სადმი გაგზავნილ მოხსენებაში გაოცებას ვერ მალავდა ქართველ ელჩთან სულხანთან შეხვედრის გამო, რომელმაც ბრწყინვალე განათლებითა და ფრანგულის ცოდნით დაამსხვრია მითი ქართველების აზიატობის შესახებ.²⁵

ქრისტიანობასა და ევროპულ ცივილიზაციასთან მყარი კავშირებისადმი დაუოცებელმა სწრაფვამ მიიყვანა საქართველო რუსეთამდე, რომელიც პეტრეს წყალობით ევროპული, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნორმების მიღებას იწყებდა. პეტრემ კარგად დაინახა, თუ რა სამსახურის გაწევა შეეძლო საქართველოს მისი გეგმების განსახორციელებლად, რომელთა

22. 1629 წელს რომში გრამატიკასთან და კიდევ რამდენიმე საეკლესიო წიგნთან ერთად დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი

23. ორბელიანის ცნობილ იგავ-არაკთა კრებულის სიბრძნე-სიკრუისას“ თარგმანი იბეჭდება „Kelmescott Press-ის“ მიერ.

24. Пупин - История славянской литературы.

25. Бутков - тури - Материалы для новой истории Кавказа, т. 1.

მიზანსაც კასპიის ზღვისა და ინდოეთისკენ მიმავალი სახმელეთო გზის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. 1723 წელს მან ვახტანგ მეექვსეს სპარსეთის წინააღმდეგ გაერთიანება შესთავაზა. რუსეთის იმპერატორი მოკავშირეს არწმუნებდა, რომ თუ მათი ერთობლივი მოქმედება წარმატებით დასრულდებოდა, ის (ვახტანგი) უდიდეს სარგებელს ნახავდა, რადგან... მისი ძალაუფლება მიმდებარე რეგიონების ყველა ქრისტიანზე გავრცელდება.“²⁶ იმავე წლის 6 სექტემბერს 30 000-იანი ქართული ჯარი რუსეთის საექსპედიციო კორპუსს შეუერთდა წარმატებული ოპერაცია“ დაიწყო, მაგრამ რაოდენ დიდი იყო ქართველთა სასოწარკვეთილება, როდესაც მათ შეიტყვეს, რომ პეტრემ 1724 წლის 12 ივნისს ქართველებისგან ფარულად, ხელშეკრულება დადო სპარსეთთან და თურქეთთან, აღიარა რა მათი უფლებები საქართველოზე. სპარსეთისა და თურქეთის ჯარები საქართველოში შეიჭრნენ და რუსეთთან ალიანსის სანაცვლოდ მისი სამხრეთის პროვინციები ერთიანად ააოხრეს.²⁷ ასეთი ღალატი წარმოუდგენლოა, მაგრამ სიმათლე იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ამ ქვეყნის დასუსტების სისტემატიურ მცდელობას წარმოადგენდა, რათა ეს უკანასკნელი უპირობოდ, ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე ჩაეგდო ხელში. იგივე პოლიტიკა გაგრძელდა ეკატერინე მეორის მმართველობის დროსაც. წერდა რა ხოტბით აღსავსე წერილებს ერეკლე მეორეს, იმავდროულად იმპერატრიცა მკაცრად აფრთხილებდა საკუთარ აგენტებს არ გაეკეთებინათ არაფერი ისეთი რაც საქართველოს გაძლიერებას შეუწყობდა ხელს“²⁸ თავის ჯარს კი განკარგულებას აძლევდა კრიტიკულ მომენტში დაეტოვებინა ბრძოლის ველი, როგორც ეს მაგალითად, გენერალ ტოტლებენისა და პოლკოვნიკ ბურნაშოვის შემთხვევაში მოხდა.²⁹

26. Бутков, указанное сочинение т.1. ст. 31-32. უნდა აღინიშნოს რომ წინამდებარე თავში გამოყენებული ყველა ციტატა აღებულია ოფიციალური რუსული დოკუმენტებიდან და რუსული ისტორიული წყაროებიდან.

27. БУТКОВ, СТ. 62

28. The Empress's order to Medem, Juli 28, 1772, in Akty arkheogr. Komm.

29. Акты и Бутков, т.1. 277, 282; т. 2. ст. 25-26.

გაკვეთილმა, რომელიც პეტრემ ქართველებს ჩაუტარა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ნახევარი საუკუნის მანძილზე გარკვეულწილად შეანელა, ცივი გახადა. ერკლე მეორეს (1744-1798) ყველაზე უკეთ ესმოდა თუ რა განსაცდელს მოუტანდა მის სამეფოს რუსეთთან კავშირი. ამ სუვერენმა, განათლებისა და ევროპული იდეების დიდმა მფარველმა, ეროვნული ტრადიციებისა და ხასიათის ტიპიურმა წარმომადგენელმა, ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისა და თანადგომის მოპოვების იმედით, ევროპაში იოზეფ მეორესთან ელჩებიც კი გააგზავნა, მაგრამ ამ მისიებმა მხურვალე სიმპატიებისა და ქრისტიანობისათვის ერეკლეს გმირული ბრძოლით აღფრთოვანების გამოხატვის გარდა ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანეს.³⁰ ვერც მატერიალური დახმარება იქნა მიღებული. იმ დროს ჯერ კიდევ ძლიერმა თურქეთის სახელმწიფომ ევროპიდან საქართველოსაკენ მომავალი ყველა გზა გადაკეტა. ერეკლე იძულებული გახდა კვლავ მარტოდ-მარტოს დაეცვა საკუთარი ინტერესები. მან შეძლო დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა, აიძულა სპარსეთი და თურქეთი კვლავ ელიარებიანთ საქართველოსა და ქრისტიანების უფლებები პალესტინაში, ვალით გამოისყიდა იერუსალიმთან ახლოს მდებარე წმინდა ჯვრის მონასტერი,³¹ განამრავლა სკოლები და განავრცო განათლება.³² საქართველო გამოცოცხლდა და თანდათან პეტრესთან ალიანსის გამო მიყენებული ჭრილობებიც

30. რუსეთი ერეკლეს წარმატებებსა და დიდებს ევროპაში არამეგობრული სულისკვეთებით ხვდებოდა სანკტ-პეტერბურგის „ვედომოსტის“ 1753 წლის 16 ნოემბრის დამატებაში ვკითხულობთ: პრინცი ერეკლე (ირაკლი), ასე ცნობილი ევროპაში და ლამის ალექსანდრე მაკედონელთან გატოლებული... მიუხედავად აღნიშნულისა, ეკატერინე მეორე იძულებული იყო დათანხმებოდა ვოლტერს, რომ ერეკლე იყო ბრძენი, მამაცი და ძლევაშობილი“ (1770 წ. 19 იანვრის წერილი) ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ასევე: ფრიდრიხ დიდის, ლესინგის და იმ პერიოდის უერნალისტთა მიერ ერეკლეს მიმართ გამოთქმული არაერთი საქებარი სიტყვები.

31. М.Соловьев - Московские ведомости, №2, 1894; М.Д-швили - Грузинские обители.

32. მისი ულირსი მემკვიდრე გიორგი მე-13 შინაურებში კამათისას ეწინააღმდეგებოდა ვოლტერისა და ენციკლოპედისტების შეხედულებებს (იოსე-ლანი).

მოიშუმა. მაგრამ რუსეთთან კავშირისა და მისივე მფარველობის გამო, მთელი ეს გარჯა ერეკლე მეორის მეფობის დროსვე წყალში ჩაიყარა.

როდესაც ეკატერინე მეორე თურქეთთან საომრად ემზადებოდა, მან გრაფ ნ. პანინის მეშვეობით (1768 წ.) წერილი მისწერა იმერეთის მეფე სოლომონს, ემუდარებოდა რა მას დაერწმუნებინა ერეკლე, მონაწილეობა მიეღო ურწმუნოთა წინააღმდეგ შეტევაში. ერეკლე ყოყმანობდა, მაგრამ 1769 წელს როდესაც შეიტყო, რომ ავსტრია იარაღის ხელში აღებას აპირებდა, მან რუსეთთან ერთად მოქმედება გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ თურქებმა სპეციალური მისია აახლეს ხელსაყრელი პირობებით. ავისმომასწავებელი წინათგრძნობით, მან მაინც მოაწერა ხელი ხელშეკრულებას რუსეთთან, რომელიც ახალციხისა და თურქეთის მიერ დაკავებული სხვა ქართული პროვინციების დაბრუნებას პირდებოდა. რუსეთის დამხმარე ჯარს გენერალი ტოტლებენი სარდლობდა, რომელიც ამისთვის ციხიდან გამოუშვეს, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის იყო დაპატიმრებული.³³ კანონის თანახმად, ამ ავანტიურისტს ჩამორთმეული ჰქონდა სამხედრო წოდება და განდევნილი იყო რუსეთიდან. სწორედ ასეთი კაცი სჭირდებოდა ეკატერინე მეორეს მისი მზაკვრული გეგმის სისრულეში მოსაყვანად, რათა არანაირად არ მომხდარიყო საქართველოს გაძლიერება“. მხოლოდ ტოტლებენის, კნორინგის და მედემის მსგავსი გენერლები იყვნენ სანდონი მისი სამარცხვინო პოლიტიკის აღსასრულეზღად. ომის დასაწყისშივე, ახალციხის მისადგომებთან, სოფელ ასპინძაში მეკავშირეები თურქების პირისპირ აღმოჩნდნენ. ერეკლეს ბრძოლა უკვე დაწყებული ჰქონდა, როდესაც ტოტლებენმა უცრად რუსულ ჯარს უკან გაბრუნება უბრძანა, განაცხადა რა, რომ ასეთი ბრძანება პეტერბურგიდან ჰქონდა მიღებული.³⁴ ერეკლე ემუდარებოდა მას, არ დაეღუპა ქვეყანა, იმასაც კი ამბობენ, რომ მან დაუჩოქა რუსს, მაგრამ ტოტლებენმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და მისმა ლაშქარმა ბრძოლის ველი დატოვა.³⁵ მართალია

33. Документы из Актов Цагарели Ст. Петербург, 1893 г.

34. ალექსანდრე ორბელიანი - ასპინძის ომი, გვ.15.

35. Бутков - т.1, ст. 277-82.

არნახული გმირობის წყალობით ერეკლემ და მისმა მთიელმა მეზობლებმა დაამარცხეს და განდევნეს მტერი, მაგრამ ამან საქართველო განსაცდელისაგან ვერ იხსნა. სპარსეთი და თურქეთი მას რუსეთთან ახალ ალიანსს ვერ აპატიებდნენ. ყველა რუსი ისტორიკოსი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სწორედ ეს ალიანსი გახდა საქართველოს გაპარტახების მიზეზი.

რუსების ჩამოსვლის დღიდან ერეკლეს მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ქართველ ვაჭრებს სპარსეთში, თურქეთში, თითქმის ყველგან არბევდნენ, ავიწროებდნენ, ან მონებად მიჰყავდათ... ბევრი სომეხი და ქართველი გაიქცა... სოფლის მეურნეობა გაჩანაგდა“.³⁶

საქართველო, სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა დახმარება, კვლავ მარტოდ მარტო აღმოჩნდა უცხო და შინაური მტრების წინააღმდეგ“.³⁷

იმპერატორი ალექსანდრე პირველი, რომელიც ტახტზე ასვლისას საქართველოსთვის რუსეთთან ალიანსის გამანადგურებელი შედეგის მოწმე გახდა, აღნიშნავდა:

„რუსეთის ჭარის სწრაფმა და მოულოდნელმა გამოყენამ სპარსეთიდან და სომხეთიდან (ანუ ერეკლეს დაქვემდებარებაში მყოფი განჯიდან და ერევნიდან), აგრეთვე თქვენი საზღვრებიდან, გააფერძკრათა სპარსეთის სამართლიანი იმელები. ყველა ტანჯვა, რაც თქვენ მას შემდეგ გადაგხდათ: უწმინდურთა და უცხო ტომელთა თავდასხმა,³⁸ ქალაქებისა და სოფლების გაპარტახება, თქვენი მამების, დედების, ცოლებისა და შვილების ტყვეობა, მონობა... ყველა ამ ბოროტებას ერთად აღებულს შეეძლო აღეგავა პირისაგან მიწისა არა მხ-

36. Бутков - т.2, ст.177-78.

37. Дуброви - Закавказие, ст.12

38. ივლინსებმა სპარსეთის შაჰის ალა მაჰმად ხანის შექრა საქართველოში, რომელიც რუსეთთან ბოლო ალიანსის დამყარებამდე ერეკლესთან კარგ დამოკიდებულებაში იყო. 1797 წელს სპარსელებმა მიწასთან გაასწორეს თბილისი. ერეკლემ ძლივს მოახერხა მთებისთვის თავის შეფარება. 1798 წლის 11 იანვარს ის მწუხარებისგან გარდაიცვალა. Дм. Бакрадзе – Тбилиси в историческом отношении.

ოლღ ხალხი, არამედ თვით ქართველი ერის სახელიც კი, რომელიც ოდესღაც მთელს აზიაში ბრწყინავდა“ (ალექსანდრე პირველი მანიფესტი 12 სექტემბერი 1801 წელი).

მიიღწია რა სასურველ შედეგებს, არანაირად არ შეუწყო ხელი საქართველოს გაძლიერებას,“ რუსმა პოლიტიკოსებმა შექმნილი მდგომარეობა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად ხელსაყრელად მიიჩნიეს. 1799 წლის 23 ნოემბერს, თბილისში პავლე პირველის სახელით გრაფმა როსტოპჩინმა გიორგი მეცამეტესთან პრელიმინარულ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მომდევნო წელს საქართველოს ელჩობამ, გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით კი ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ამ ნაშრომის I თავში იყო წარმოდგენილი.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მარტო პოლიტიკური გავლენის დაკნინებას როდი დასჯერდა. ის ყველანაირად ახალისებდა არისტოკრატთა შორის ინტირგებსა და კორუფციას, ვიდრე საუკეთესო ოჯახების კომპრომეტირებას არ მიიღწია.³⁹ გენერლების გუდოვიჩის, კნორინგის, ლაზარევის და სხვათა მოხსენებითი ბარათები სავსეა მათ მიერ, იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემორალიზებისა და კორუმპირების მცდელობის გულისამრევი დეტალებით, რომლის მცხოვრებთა პატიოსნება და უნაგარობა საყოველთაოდ იყო აღიარებული.⁴⁰

IV

ჩაბჭრა და რუსიფიკაცია

1801 წლის 12 სექტემბრის ალექსანდრეს მანიფესტის წაკითხვის შემდეგ ადამიანი იფიქრებდა, რომ საქართველოს დასუსტების ტაქტიკა, რომელიც მისი პოლიტიკური განადგურებით დასრულდა, უფრო პატიოსანი მეთოდებით შეიცვლებოდა, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ თვით იმპერატორის აღიარებას.

39. Rottiers - „Itineraire“, ბატონიშვილი ივანე, კალმასობა, გვ. 42-50.

40. Bodenstedt, *Peuples du Caucase*, p. 204.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა სუვერენის საჯარო განცხადებამ, როგორც უბრალო, ისე წარჩინებულ მოსახლეობაში იმედი გააღვი-
და. 1801 წლის სახელმწიფო საბჭოს პროტოკოლში ვკითხულობთ,
რომ იმპერატორის აზრით მის იმპერიას არ ჰქონდა ქვეყნის ანექ-
სირების უფლება, თუ მკვიდრ მოსახლეობას არ სურდა ასეთი
კავშირი. ამის შემდგომ გენერალურმა პროკურორმა ბეკლამიშევმა
აცნობა სახელმწიფო საბჭოს მისი საიმპერატორო უდიდებულესო-
ბის ყოყმანის შესახებ „მიელო თუ არა რუსეთის დაქვემდებარებაში
ეს სამეფო, რადგან მას მიაჩნდა, რომ სხვისი საკუთრების დაუფლება
უსამართლობა იქნებოდა.“⁴¹ აღნიშნულის საფუძველზე, ოთხი დღის
შემდეგ, საქართველოს სამეფო კარზე გაგზავნილ იქნა (ბულგარეთში
კულბარსის მისიის მსგავსი) მისია გენერალ კნორინგის, როგორც
სპეციალური წარმომადგენლის მეთაურობით. ამ უკანასკნელის
მოქმედების მიხედვით ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ რა
მითითება ჰქონდა მას მიღებული. საქართველოს ელჩობას კი ეთხოვა
დალოდებოდა ახალ ამბებს კრონიგისაგან, რომელიც თბილისში
მოლაპარაკების წარმოებას აპირებდა მეფესთან. თუმცა მალევე
გაირკვა, რომ ეს ყველაფერი კამედია, დადგმული სპექტაკლი იყო,
რომ სინამდვილეში შემუშავებული იყო გეგმა, რომლის მიხედვითაც
საქართველო რუსეთის ერთი ჩვეულებრივი პროვინცია უნდა
გამხდარიყო. გარსევან ჰავაჰაძემ პროტესტის ნიშნად პეტერბურგი
დატოვა.

შესაძლოა უცნაურად ჟღერდეს, ერთის მხრივ, სურვილის არ
ქონა, მოეპარათ სხვა ხალხის საკუთრება, დაცული ავტონომიის
უფლების მინიჭების შესახებ კანონიერ, ძალაში შესული ხელშეკ-
რულებით და მეორეს მხრივ, სრული მზადყოფნა იგივე საკუთრე-
ბის, როგორც დაპყრობილი პროვინციის მიტაცებისა და რუსული
სამხედრო დესპოტიზმის ქვეშ მოქცევისა. მაგრამ ყოველივე აღნიშ-
ნულს საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ
მას შემდეგ, რაც 1799 წელს გრაფმა როსტოფჩინმა მოაწერა ხელი
პრელიმინარულ ხელშეკრულებას, რუსეთის ჯარები საქართველოში
შემოვიდნენ და დაიკავეს ციხე-სიმაგრები, დარიალის ხეობა და

41. ეს საყურადღებო დოკუმენტი ციტირებულია დუბროვინის მიერ,
Закавказье ст. 23.

როგორც კი სტრატეგიულ პუნქტებს დაეუფლნენ, ეს ხელშეკრულება რუსეთის მთავრობამ ხელისშემშლელ წინააღმდეგობად ჩათვალა, რომელიც უმოკლეს დროში უნდა მოეშორებინა. მართალია, თავიდან ისინი თვალთმაქცობდნენ, თითქოს არ სურდათ ქვეყნის ანექსია, მაგრამ 2 თვის შემდეგ, როდესაც კნორინგმა მისი მისიის წარმატების შესახებ განაცხადა, მათ ეს დოკუმენტი უბრალოდ „მოისროლეს“. კნორინგმა მისი დავალება დიდი წარმატებით შეასრულა. იმის გამო, რომ ოფიციალური განცხადების თანახმად, ის საქართველოში ხელშეკრულებათა პირობების დასაზუსტებლად იყო ჩამოსული, ხალხი მის ვიზიტს დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. ის წერდა იმპერატორს: „ფიქრობენ რა, რომ მე აქ იმპერატორ პავლე პირველის ნება-სურვილის აღსასრულებლად ჩამოვედი, ჯგუფ-ჯგუფად მეგებებიან მთელ გზაზე საქართველოს საზღვრიდან დაწყებული თბილისით დამთავრებული და მხიარულად აღავლენენ ლოცვას უფლის წინაშე“.⁴²

როგორც კოვალენსკი, რუსეთის სამოქალაქო ადმინისტრაციის პირველი ხელმძღვანელი საქართველოში, თავის წერილში აღნიშნავს, კიდევ უფრო მეტი სიხარულით შეეგება ხალხი პირველ რუსულ სამხედრო შენაერთებს.⁴³ კრონინგი კოვალენსკის თანმხლებით თბილისში 1802 წლის 9 აპრილს შევიდა.

სახალხო ენთუზიაზმი ხანმოკლე აღმოჩნდა. 8 მაისს, ჩამოსვლიდან ერთი თვის თავზე კნორინგმა სამეფოს საუკეთესო ოჯახების წარმომადგენლებს მანიფესტის მოსასმენად სიონის საკათედრო ტაძარში უხმო. 16-17 თებერვალს გამოქვეყნებული მანიფესტის დადასტურების მოლოდინში ყველანი მხიარულად გაეშურნენ ტაძრისკენ. უსიამოვნო ექვები მაშინ გაჩნდა, როდესაც მათ იარაღის ტაძრის გარეთ დატოვება მოთხოვეს, თუმცა წინააღმდეგობა არავის გაუწევია. საეკლესიო ღვთის მსახურების შემდეგ მათ მოისმინეს დეკლარირებული მანიფესტი, რომელიც საქართველოს კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე აცხადებდა, რომ ნაცვლად ხელშეკრულებისა, იმპერატორმა რუსული ადმინისტრაციის შემოღება

42. კნორინგის მოხსენებითი ბარათი ალექსანდრე პირველისადმი, АКТЫ.

43. Берже – Русская старина, 1880 г. № 5 ст.5 об. ასევე დუბროვინი, ბუტკოვი და გენერალ ლაზარევის მოხსენებითი ბარათები.

ბრძანა და ქვეყნის ყველაზე გავლენიან პირებისაგან ერთგულების ფიცის დადება მოითხოვა. საყოველთაო უკმაყოფილებას საზღვარი არ ქონდა, მაგრამ როცა დაინახეს რომ თვითონ განიარაღებულნი, რუსი ჯარისკაცებით იყვნენ გარემორტყმულნი, რომელთაც ხიშტები ტაძრისკენ ქონდათ მიშვერილი, ისინი დაიშალნენ ისე, რომ ფიცი არცერთს არ დაუდია. ქალაქი მღელვარებამ მოიცვა. ვაჭრებმა და ხელოსნებმა მალაზიები დახურეს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების საუკეთესო და ყველაზე გავლენიანი პირები დააპატიმრეს, თბილისის ძირძველი ქართველი და სომეხი მკვიდრი ტახტის მემკვიდრეს, ბატონიშვილ დავითს ეახლნენ და რუსების გაყრა შესთავაზეს. მისმა ბიძამ ივანემ, რომელიც არტილერიას ხელმძღვანელობდა, ნებართვა ითხოვა და პირობა დადო, რომ რუსებს კავკასიიდან განდევნიდა.⁴⁴

მაგრამ დავითმა, შესაძლოა რუსეთის შიშით ან საქართველოს მომავალ ბედ-იღბალზე ზრუნვით, რომ ქვეყანას სპარსეთთან და თურქეთთან ერთად თავს რუსეთის სიძულვილიც არ დატყდობოდა, შეტევაზე უარი თქვა და ძალას დაემორჩილა.⁴⁵

რუსი ისტორიკოსის გადმოცემით, ასეთმა ნაბიჯმა, მიმართულმა იმ ერის წინააღმდეგ, რომელმაც იმპერიის სუბიექტად განდობა ნებაყოფლობით ითხოვა, ქართველების განაწყენება გამოიწვია.

თავდაზნაურობა, როგორც გენერალი ლაზარევი აღნიშნავდა, უკმაყოფილო იყო საქმის იმეამინდელი მოწყობით.⁴⁶

ქართლში ტრიბუნალებს აღარ ემორჩილებოდნენ. თათრებმა გაქცევა გადაწყვიტეს. თბილისელი ვაჭრები (სომეხები) აღარ იხდიდნენ გადასახადებს.⁴⁷ კახეთში ქართველები და ლეკები რამდენჯერმე

44. ჩვენ ეს დეტალები საოჯახო დოკუმენტებიდან შევიტყუეთ. თავდაზნაურობა წარმომადგენლებს შორის იყვნენ ანდრონიკაშვილები, ბარათაშვილები, ლეონიძეები და ა.შ. დაპატიმრებული იქნა თქვენი მონა-მორჩილის დიდი პაპაც, რომელიც მოგვიანებით ციმბირში გადასახლეს.

45. იოსელიანი - ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. პოპულარული პამფლეტის „კალმასობის“ ავტორი ბატონიშვილი ივანე, ქართველ ელჩებს მოლაღატეობაში სდებდა ბრალს.

46. Акты и рапорты.

47. 12 წლის მანძილზე გადასახადებისგან განთავისუფლება გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების მეორე მუხლით.

აჯანყდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და ბევრი მათგანი ციმბირში გადაასახლეს. ერი და ბერი იძულებული გახდა ძალას დამორჩილებოდა. კნორინგმა და კოვალენსკიმ რუსული ინსტიტუტების დამკვიდრება დაიწყეს. საზოგადოებრივ დაწესებულებებში ქართველებს არა მარტო აშკარად შეურაცხყოფდნენ, არამედ სცემდნენ კიდეც მცირედი ეკვის საფუძველზე მათ იჭერდნენ, ხელებს ზურგს უკან უკრავდნენ, კისერზე ბორკილებს ადებდნენ და ნამდვილი დამნაშავეების მსგავსად 50 ვერსის მანძილზე, ან უფრო შორსაც ფეხით მიერეკებოდნენ. სამოქალაქო და სამხედრო ოფიცრებს ქალები და გოგონები სოფლებიდან გაჰყავდათ და აუბატოიურებდნენ.⁴⁸

თავისუფალი, მეომარი მთიელები ამას ვერ ურიგდებოდნენ. აჯანყებებმა და გამოსვლებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. პეტერბურგის ხელისუფლება შემფოთდა. ისინი შიშობდნენ რომ მთელი საქართველო აჯანყდებოდა და ბოლო 40 წლის მზაკვრობის, ქვეყნის დასუსტების პოლიტიკის ნაყოფი უდროოდ დაილუპებოდა. ამიტომ მათ გუბერნატორად ციციანოვი დანიშნეს, გამორჩეული თვისებების მქონე ქართველი, რომელიც სამეფო ოჯახს ენათესავებოდა⁴⁹ და დაავალეს მას ქვეყნის მოწყობა არისტოკრატიულ, მაგრამ ზედმიწევნით არჩევით, ეროვნულ საფუძველზე, როგორც პოლიტიკურად ისე ადმინისტრაციულად და სამართლებრივად.

ამ ახალი კონსტიტუციის თანახმად შემდეგი პრივილეგიები დაწესდა:

ყველა საზოგადოებრივი დაწესებულების არჩევითობის პრინციპი.

ყველა სასამართლო პროცესი უნდა წარმართულიყო ქართულ ენაზე მეფე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით.

48. თავად ციციანოვის მოხსენება (9 თებერვალი 1803 წელი) ალექსანდრე პირველისადმი.

49. ყველა ისტორიკოსი (ბერაყე, ბუტკოვი, დუბროვინი, ბოდენსტედტი, ბროსე, ოსელიანი), ვისაც ამიერკავკასიის თემაზე უმუშავია ერთხმად აღიარებს, რომ ციციანოვი ყველაზე გამორჩეული და ერთადერთი ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე იყო საქართველოში იმპერატორის მიერ ხელდასმულ ყველა გუბერნატორს შორის.

ქართული ეკლესია და სკოლები იმოქმედებდნენ რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული პირების უზენაესი კონტროლის ქვეშ.

რუსეთის სამხედრო სისტემისგან თავისუფლება და ეროვნული მილიციის შექმნა.

ეროვნული ფულის ნიშნის შემოღება (რომელიც ალექსანდრე მეორის მეფობამდე მოქმედებდა).

საქართველოში ამ ძირითადი უფლებების შესაბამისად ჩამოყალიბდა მმართველობითი სისტემა; კერძოდ, შიდა ადმინისტრაციის დანიშვნა, რაც ორიგინალში მისი საიმპერატორო ბრწყინვალეობის საკუთარი ხელისმოწერით, არის დადასტურებული შემდეგნაირად:

„დე იუს ასე. ალექსანდრე.

გაცემულია მოსკოვში, 12 სექტემბერი 1801 წელი.“

საქართველო დაყოფილი იქნა ხუთ უბნად. თანამდებობის პირები და მათი ადგილსამყოფელი შემდეგნაირად განისაზღვრა:

მთავარსარდალი, გუბერნატორი და საქართველოს უმაღლესი მთავრობა რეზიდენციით თბილისში. უმაღლესი მთავრობა ოთხ განყოფილებიდან შედგებოდა, რომელთა დეტალური ჩამონათვალიც მოკლებულია.

საქართველოს უზენაესი მთავრობის წევრები არიან გუბერნატორი, განყოფილებათა უფროსები (დანიშნული საიმპერატორო მთავრობის მიერ) და მრჩევლები (ეს თანამდებობა არჩევითია).

საქართველოს უმაღლესი მთავრობის გენერალური ანსამბლეა წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს განყოფილებების წინააღმდეგ და მის მიერ საქმეზე ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა (შემდეგ მოხსენებულა პროვინციის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები). პირველ წელიწადს მრჩევლთა კანდიდატურები სახელდებოდა მთავარსარდალის მიერ. ახალი მმართველობის ჩამოყალიბებიდან ერთი წლის თავზე ქართველი ბატონიშვილებისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლების არჩევა მრჩევლებად ან სხვა თანამდებობებზე მათივე ნება-სურვილზე გახდა დამოკიდებული.

ამდენად, ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე საქართველოს თავს მოახვიეს არისტოკრატიული კონსტიტუცია, რომელსაც ქვეყანა მხოლოდ იმიტომ დაემორჩილა, რომ ის იძულებულ

ბული გახადეს. პირველი არჩევნები 1803 წელს გაიმართა. გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც როგორც ზემოთ ვნახეთ, ხელშეკრულების დარღვევას აპროტესტებდა, თავდაზნაურების მარშლად იქნა არჩეული. ციციანოვი ყველასგან დაჯინებით მოითხოვდა არჩევნებისადმი მორჩილებას, როგორც საქართველოში პოლიტიკური სიმშვილის ერთადერთ საშუალებას. ერთ ხანს ისე ჩანდა, თითქოს ქვეყანა დაწყნარდა. ბევრი ფიქრობდა, რომ ზემოთ ნახსენები ხუთი კონსტიტუციური პრინციპის მინიჭებით ხელშეკრულების დარღვევა დაბალანსდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ციციანოვი და მისი უშუალო მემკვიდრენი ქართველები იყვნენ. რაც შეეხება თავად-აზნაურობას, მათი უმრავლესობა მოსყიდული იქნა, არა მხოლოდ კონსტიტუციის არისტოკრატიული ხასიათით, არამედ რუსეთის სამეფო კარისგან ბოძებული მსუყე ქრთამითაც. ამისდა მიუხედავად, ქვეყანამ ხელშეკრულების დარღვევა კანონიერად არ აღიარა. ომებითა და სპარსეთის თავდასხმებით დასუსტებული, რუსული ხიშტებით გარშემორტყმული საქართველო ჩუმად იყო. მაგრამ, როდესაც ახალი თაობა წამოიზარდა, როდესაც ნიკოლოზის ცენზურის მათრახისა და დევნა-შევიწროების სამიზნედ განათლება იქცა, რუსეთისგან საქართველოს ჩამოსაშორებლად შეთქმულება მომზადდა. ამ შეთქმულებაში საუკეთესო ოჯახიშვილები იღებდნენ მონაწილეობას.⁵⁰ მაგრამ შეთქმულები 1832 წელს მანამდე დააპატიმრეს, ვიდრე საკუთარ გეგმას სისრულეში მოიყვანდნენ. პოეტები ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი, დრამატურგი გ. ერისთავი, ასევე დიმიტრი ყიფიანი, ანდრონიკოვი, ჩოლოყაევი, ჭავჭავაძე ჩრდილოეთ რუსეთის შორეულ ქალაქებში გადაასახლეს, სადაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.⁵¹ აჯანყების შიშით ხელისუფლების სისასტიკე ძლიერდებოდა, მით უფრო, რომ შესაძლო იყო აჯანყებულთათვის მხარი არა მხოლოდ თურქეთს, არამედ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსაც დაეჭირა, რომელთა ინტერესები აღმოსავლეთში იმ დროს სწრაფად იზრდებოდა. იმ-

50. Bodenstedt-*Peuples du Caucase*. p.121

51. გ. ერისთავის შრომების ბიოგრაფიული წინასიტყვაობა

პერატორმა ნიკოლოზმა თავისი ადიუტანტი შეკვინიც კი გაგზავნა საქართველოში, ქართველების მიმართ საკუთარი კეთილგანწყობის დასამტკიცებლად, არწმუნებდა რა მათ, რომ ხელისუფლება ერთგულად დაიცავდა კანონით მინიჭებულ თვითმართველობას.⁵² თუმცა არც ეს დაპირება შესრულებულა. ხელშეკრულება სულ უფრო და უფრო დაქუცმაცდა ახალი რეფორმებით. საქართველოზე არც ადგილობრივი თვითმართველობისა და არჩევითობის პრინციპები გავრცელებულა და ქვეყანას, ჩამოერთვა რა ყოველგვარი უფლებები, თანდათანობით დაპყრობილი პროვინციის დონეზე დაეშვა.

ამ მოკლე ჩანახატში, რომელიც რამდენადაც შესაძლებელი იყო, ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით ავაგეთ, ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის იმ ქვეყნის ანექსირების ისტორია მოვკვებოთ, რომელიც ტერიტორიით პატარაა; მაგრამ მდიდარია როგორც ბუნებრივი რესურსებით ისე წარსული ეროვნული სიდიადით. ახლა ჩვენ თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გასულ საუკუნეში ქვეყნის დაცემისა და ეკონომიკური გაპარტახების, ქრისტიანულ სამყაროში ჩვენი პოზიციების დაკარგვისთვისა და დღევანდელი რუსული ეროვნული ცხოვრებისათვის ჩვენ მადლობა ოფიციალურ რუსეთს, რუსულ ავტოკრატიას უნდა ვუთხრათ. ჩვენ შეგნებულად გამოვყოფთ ოფიციალურ რუსეთს, რომელიც ყველა რჯულის (განსაკუთრებით გერმანელი) ავანტიურისტებისაგან შედგება, კულტურული ფენისა და რუსი ხალხისგან. ამ უკანასკნელთა ინტერესებს ყოველთვის, თანაგრძნობით ხვდებოდნენ საქართველოში.⁵³ მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოხდეს საქართველოს რუსიფიკაცია. ევროპული ჰუმანიზმისა და მეცნიერების ინტერესები ყოველთვის ძვირფასი იყო ჩვენი მამებისთვის და ეს სიყვარული ჩვენი უფლებებისათვის ბრძოლასთან ერთად ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვცეს. იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მთავრობა ძალისმიერი რუსიფიკაცი-

52. ერისთავის ბიოგრაფია

53. 1861 წლიდან ტირანიის წინააღმდეგ რუსული საზოგადოების ბრძოლაში ქართველები ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ლებულობდნენ და არც პატიმრობას, არც გაციმბირებას არ უფრთხობდნენ. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ: გამყრელიძე, ჭაბადარი, უდანოვიჩი, ციციანოვი, არგუტინსკი, გრძელიძე, მარია შერვაშიძე, მ. ყიფიანი.

ის პოლიტიკას გააგრძელებს, თუ ის საქართველოს მის კანონიერ უფლებებს არ აღუდგენს. რომელთა დაცვაზე ზედინედ ხუთმა იმპერატორმა დადო ფიცი, მაშინ ქვეყანა იძულებული იქნება გადარჩენის სხვა საშუალებები ეძებოს. ასი წლის წინ საქართველომ მხოლოდ იმიტომ მიმართა რუსეთს, რომ ევროპისგან მოწყვეტილი იყო. ჩვენს დროში და თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში კი ეს უკანასკნელი ჩვენთან გაცილებით ახლოსაა ვიდრე მოსკოვი ან პეტერბურგი. რაც შეეხება ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს საქართველო მხოლოდ ძალით არის მიჯაჭვული რუსეთზე, ისევე როგორც ლეგენდარული პრომეთეოსია მიჯაჭვული მისი ულამაზესი მთების ერთ-ერთ მწვერვალზე.

ჩვენი აზრით, ეს საერთო ინტერესები ევროპასთან საქართველოს გაცილებით მეტ მხარდაჭერას მოუპოვებს საკუთარი უფლებებისათვის წარმოებულ სამართლიან ბრძოლაში, ვიდრე ეს ბულგარეთს ჰქონდა. დაე, რუსეთის ხელისუფლებამ ეს საკითხი ყურადღებით გაიაზროს. „აღმოსავლეთის საკითხი“, მთელი მისი მრავალფეროვნებით, სასომხეთისა და სხვა საკითხების მსგავსად, მხოლოდ ავტონომიური და ნეიტრალური საქართველოს შექმნის შემთხვევაში გადაიჭრება, ანუ როგორც შშვილობის მომხრეებს მიაჩნიათ, კავკასიონის ქედის ყველა ერების ნეიტრალური ფედერაციის ჩამოყალიბების შემთხვევაში. რუსეთის მთავრობის პოლიტიკაზეა დამოკიდებული მთლიანად როგორი იქნება ასეთი ფედერაციის დამოკიდებულება მის მიმართ - კეთილგანწყობილი თუ მტრული.

განადგურებული და გაპარტახებული ქვეყანა, გაძარცვული ქალაქები, გადაშვარი სოფლები, ხანძრის ავისმომასწავებელ შუქზე განათებული ხოცვა-კლუტის შემზარავი სცენები; ცოცხლად დამარხული, ხშირად კედელზე მინარცხებული ბავშვები, მურილიოს ანგელოზებით ნაზი, პატარა თავებით. თავმოჭრილი და გამოშვიგნული, ნამუსახდელი ახალგაზრდა გოგონები და ქალები; ერთად ჩამოხრჩობილი ათასობით მშვიდობიანი მამაკაცი. მთელი ეს საშინელება, წინასწარ გათვლილი, კარგად ორგანიზებული, სისრულეში მოყვანილი და სატანისტური ცივ-სისხლიანობით განმეორებულია იმ ხელისუფლების მიერ, რომელიც სხვადასხვა ეროვნების, რასისა და რელიგიური აღმსარებლობის რენეგატებისგან შედგება. იცნობ კი ამ ქვეყანას, მკითხველო?

უკვე სამი წელიწადია, რაც ეს საშინელება გრძელდება, რომელიც სამარცხვინოა მთელი ცივილიზირებული კაცობრიობისათვის. სუვერენებად და მინისტრებად წოდებული ურჩხულები მეთოდურად ღრეობენ სომხების სისხლსა და ხორცზე. ლაჩარი და სასტიკი, ევნუხის მსგავსი სულთნისათვის უცხოა ჰუმანური გრძნობები. თავისი წარმოშობითა და ზნედაცემულობით ის მშვენივრად მოერგო მეტოქის გარეშე დარჩენილი მკვლელის როლს. გარედან სულ მცირე წაქეზების გარეშეც კი ის ყოველთვის შზად იყო საკუთარი სამფლობელო საშინელების არენად ექცია. თუმცა, როდესაც მან დაინახა, რომ მის მიერ მირთმეული სომეხი ბავშვების სისხლში ამოსვრილი საჩუქრები ახლადდაქორწინებულმა საიმპერატორო წყვილმა მადლიერებით მიიღო და ის, თვითონ გამორჩეული თავისი საზიზღარი საქმეებით, სხვა საიმპერატორო კარიდან საჩუქრად ოჯახურ პორტრეტს ღებულობს, სულთანი მიხვდა რომ მისი ჯალათური პროფესია, ბოლოსდაბოლოს, სულაც არ არის დაწყველილი, და თუ კერძო პირისთვის სხვა ადამიანის მოკვლა სამარცხვინოა, მისთვის და მის-

* წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ „Freedom-ის“ 1896 წლის დეკემბრის ნომერში. გაზეთი დატულია ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ნაირი მმართველებისათვის ბავშვების, ახალგაზრდა ქალებისა და გოგონების ხოცვა ღირსეული საქციელია. მასთან ერთად მისი გარყვნილი მინისტრებიც, ეს ვერაგი არსებანი, რომელთაც კარიერა ახალგაზრდობაში საკუთარი სხეულის პროსტიტუციით გაიკეთეს, ხოლო ზრდასრულ ასაკში მათი პატრონის მიერ შეურაცხყოფილი და ჰარამხანიდან გაგდებული მსახური ქალის ცოლად მოყვანა პატივად მიიღეს,¹ თავის მხრივ მიხვდნენ, რომ მათი მმართველობითი ფუნქცია უკიდურეს სისასტიკეს გულისხმობდა. მათ ასევე გააცნობიერეს, რომ საიმპერატორო საჩუქრებით გამხნეებულმა მათმა პირისისხლიანმა წინამძღოლმა იცის, როგორ მიაგოს პატივი მათ ჯალათურ მისწრაფებებს. ამრიგად მათ განზრახული აქვთ დაუცველთა ხოცვა-ჟლეტა გარეშე ძალების ჩაურევლობის გარანტიით. რაც შეეხება მათ მიერ სომეხი ერის განადგურების წინააღმდეგ ევროპული ინტერვენციის ფანტომს, ეს ძველი იგავია, რომელსაც მხოლოდ ბავშვებმა, მღვდლებმა და სენტიმენტალურმა ინგლისელმა ქალებმა შეიძლება ყური მიუგდონ.

სამწუხაროდ, ეს უფიცი და გარყვნილი მკვლელები, მართალნი არიან. დიახ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ევროპის ინტერვენცია მხოლოდ იგავია. გარდასულ ეპოქაში, როდესაც ევროპა ჯერ კიდევ არ იყო სავსე პოლიციით, ხოლო ხალხს ჰქონდა გამბედაობა და პირადი ინიციატივა, საკმარისი იყო ბერს, პეტრე განდგილის სომხებისათვის თურქების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოეწოდებინა, რომ ათასობით ადამიანი გამხნეებული და დალოცვილი დედების, ცოლების, დებისა და შეყვარებულების მიერ, ნებით შეკრებილიყო ჯვაროსანთა დროშის ქვეშ. დიახ, შუასაუკუნეების ბარბაროსულმა ევროპამ, როდესაც პალესტინამდე ან კილიკიამდე მიღწევას თვეები სჭირდებოდა, იცოდა მსხვერპლის გაღება. ხოლო ჩვენი დახვეწილი თაობა ტრანსპორტის მძლავრი საშუალებებით, იმდენად უღირსია, რომ ლოცვის გარდა არაფრისთვის გამოდგება!

სავალდებულო მილიტარიზმის დამღუპველმა დისციპლინამ მეტისმეტად გამოგვაშტერა, ნებისყოფისა და პირადი ინიციატივის

1. ვისაც კონსტანტინოპოლში უცხოვრია იცის, რომ ჩვენი განცხადება აბსოლუტური სიმართლეა.

უმცირესი კვალიც კი წაშალა ჩვენში. ჩვენ არც ნებისყოფის, არც მოქმედების, არც ვნებიანი სიყვარულის, და არც კაცობრიობის შემარცხვენელი ურჩხულების სიძულვილის უნარი აღარ გავაჩნია. ჩვენ ველოდებით ჩვენს პატრონებსა და მათ ლაქიებს, დიპლომატებს, რათა მათ იმოქმედონ. თქმცა ჩვენი პატრონები უძმობილდებიან საზიზღარ მკვლელებს... დიპლომატია! ყოფილა როდესმე ისტორიაში შემთხვევა, რომ დიპლომატიას ერების დამონების გარდა სხვა რაიმე მიზნისათვის ეზრუნა? და მაინც, ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ის გადაარჩინს ნახევრად გაწყვეტილ სომეხ ერს! როგორ მოხდა, რომ, ერთის მხრივ, ევროპის საზოგადოებრივი აზრი, ისევე როგორც, მეორეს მხრივ უბრძლო სომეხი პატრიოტები, იმედს ამყარებდნენ დიპლომატიურ ქმედებაზე? თითქოს 1878 წელს ბერლინში დიპლომატები არ არწმუნებდნენ მამაც და პატიოსან პატრიარქ ჰრიმიანს, სომეხთა მიერ „ჰაირიკად“ წოდებულს, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობა-სულთანი აუცულებელ რეფორმებს² გაატარებდა სომხეთში?! რომელი რეფორმები გატარდა ბოლო 18 წლის განმავლობაში? მათ, პარიზულ სტილში,³ მკვლელთა ბანდები ჩამოაყალიბეს და პოლიცია დაარქვეს. მაგრამ ესეც არ აკმარეს. იგივე დიპლომატები უკანასკნელი წლების განმავლობაში ყურადღებით ადევნებენ თვალს ამგვარად რეფორმირებული პოლიციის საზიზღარ ქმედებას და მაინც კვლავ პირდებიან სომეხებს, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობა სულთანი მსგავს რეფორმებს გაატარებს პროვინციებში, სადაც ხოცვა-ყლეტვას ქონდა ადგილი და იქ შექმნის საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ შენაერთებს... რა მიზნით? ყოველგვარი ჰუმანური იდეის ჩასახშობად, რომელსაც ასე მტრობს მისი უდიდებულესობა მკვლელი; ყოველი პიროვნების ან მოსახლეობის ნაწილის მიმართ, რომელიც გაბედავს ხმა აიმაღლოს იმავე სულთნის წინააღმდეგ. რაოდენ მზაკვრულადაც არ უნდა ჩანდეს ერის მთელი იმედებისა და მოლოდინის ძლიერ და ყოვლისმკოდნე უნდარძმერიაზე გადაბარება, ეს ფაქტია. დიპლომატებს, მინისტრებსა და მთელ მსოფლიოს

2. პარაგრაფი 61. ბერლინის ხელშეკრულება

3. კონსტანტინოპოლის პოლიცია პარიზული კომისარიატების მიერაა ორგანიზებული. მათმა საზიზღარმა შეფმა, საიდ ფაშამ, განათლება პარიზის კათედრებში მიიღო.

მმართველებს პროგრესად და განვითარებად მიაჩნიათ ძალაუფლების გაძლიერება, პიროვნებისა და ერის უფლებების შეზღუდვა. მამ რალა გასაკვირია, რომ ამ ვაჟბატონებმა სომეხი ერის თავისუფლება და კეთილდღეობა გუბერნატორებსა და ჟანდარმებს, ტანტზე მყოფი მკვლელის ქვეშევრდომებს გადააბარეს. მათმა გაუცუღმართებულმა გონებამ, რეაქციული სამსახურეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, სხვა რალა უნდა ჩაიღინოს. თუმცა ესენი არ იწვევენ ჩვენს აღმფოთებას.

ჩვენში ზიზღს იწვევს ის, რომ ევროპელი ერების მოწინავე საზოგადოებრივი აზრი, ივიწყებდა რა დიპლომატიის ისტორიულ როლს, მთელი ორი წლის მანძილზე პასიური რჩებოდა უმწეო და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის მიმართ. ზიზღის მომგვრელია ის ფაქტი, რომ ჩვენი დეგრადირებული რასა იმედს ამყარებდა ერების მჩაგვრლებად დაბადებულებზე და თავისუფლების პროფესიონალ მტრებზე. ზიზღს იწვევს ისიც, რომ მაშინ როდესაც მკვლელთა ბანდები დაუცველ მოსახლეობას ხოცავენ, განათლებული, ჰუმანური და თავისუფალი ევროპული საზოგადოება ლოცვებს, ლაყობას, ან ქველმოქმედებისათვის გროშების შეგროვებას სჯერდება...


დღემდე ჩვენს შორის არ გამოჩენილა არც ლანდოზი, არც ბაირონი, არც ჯონ ბრაუნი, არც გარიბალდი! ჩვენს თაობაში ვერ ვპოულობთ ტრიუმფატორი ახალგაზრდების მასას, რომელნიც არმანდ კარელთან და რიეგოსთან ერთად თავისუფლებისათვის იბრძოდნენ ესპანეთში, გარიბალდისთან ერთად-იტალიაში, აჯანყებულ გლეხებთან ერთად-სერბიასა და ბულგარეთში. ჩვენ ზედმეტად პრაქტიკულნი ვავხდით და ყველა პრაქტიკული ადამიანის მსგავსად, ზედმეტად ეგოისტურნიც. ჩვენს შორის ისინიც კი, ვინც ერების გრძნობაზე ლაღდებენ, თვით სოციალისტები და რევოლუციონერებიც კი, ვერ ამალდნენ მყარ ეგოიზმზე და წვრილმან ყოველდღიურობაზე. სოციალისტების შეკრებაზე მოკლული ბავშვებისა და ქალების გულისშემძვრელ კვნესაზე ჩენლტმენმა ორატორებმა უპასუხეს არა თანაგრძნობის შეძახილით ან დახმარების აქტით... არამედ ცივი გონების დასკვნით, რომ თავს მთლად ბედნიერად ვერ გრძნობდნენ ამ ფაქტის გამო და არც ისე მდიდრები არიან, რომ მატერიალური დახმარება გაუწიონ მათ. თითქოს სოლიდარობა და

ძმობა მდიდართა პრივილეგიას წარმოადგენდეს და მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ შიმშილისგან მომაკვდავთათვის ჰურის განაწილება.

არა, მდიდარი და ბედნიერი ყოველთვის გულგრილნი იყვნენ ტანჯულთა მიმართ. სწორედ იმაში მდგომარეობს მსოფლიო ისტორიის ბოლო წლების სამარცხვინო ლაქა, რომ მასებმა ინიციატივა მდიდრებს, ილბლიანებს და ძლიერებს გადააბარეს. სწორედ ამიტომაა, რომ სისხლის მსმელი სულთანი და მისი საძულველი მინისტრები ანხორციელებენ დაუცველი სომხეთის სისხლიან ტერორს, რადგან ევროპამ თავი დაანება ჰუმანიზმის ტრადიციებისა და ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლას და ერების ბედ-იღბალი და თავისუფლების საკითხი მმართველების იმედად დატოვა. სულთანმა იცის რომ მმართველები ყოველთვის მას დაიცავენ და არა მის მიერ გაუღუტილ ხალხს. ხოლო ინგლისელი ქალებისა და მღვდლების მიერ უფლის სახელზე ცად აღვლენილი ლოცვანი და დასახმარებლად შეგროვებული საბრალო გროშები პროფესიონალ მკვლელებში არანაირ შიშს არ იწვევენ. ამგვარი ჩარევით ვერანაირი იმედი ვერ გვექნება, რომ გამწარებული, გაძარცვული და მოსახლეობისგან დაკლილი სომხეთის ხოცვა-ყლეტვას ბოლო მოეღება.

უბედური ქვეყანა!

საბრალო თაობა!



ჩერქეზიშვილების სალოცავი სოფ. თოხლიაურში,
რომელშიც 1846 წლის 6 დეკემბერს მოინათლა
ვ. ჩერქეზიშვილი

Cherkezishvili's church in the Village of Tokhliauri,
where on December, 6, 1846, V. Cherkezishvili was
baptized.

საბერძნეთი და ევროპა*

სისტემატური ხოცვა-ჟლეტით გაჩანაგებულ-განადგურებული სომეხი ერის შემდეგ საბერძნეთის ჯერი დადგა. ევროპული ცივილიზაციის ღვთაებრივი აკვანი გერმანული ზარბაზნების და რუსული დესპოტიზმის ალესილი ხმლების ქვეშ იმსხვრევა. სალონიკში მკვლეული სულთანნი კი არაა ტრიუმფატორი, არამედ პან-ევროპული დესპოტიზმი, მევახშეობა და რეაქცია; ჩვენი დამორჩილებული და მშინარა თაობის თვალწინ მცირერიცხოვან ბერძენ ერს კი არ ანადგურებენ, არამედ თავისუფლებისა და ჩაგრული ერების აღორძინების იდეას, განთავისუფლებისა და ემანსიპაციის მიზანს. ერთი მხრივ შინაგანი ექსპლოატაცია და ჩაგრა და მეორე მხრივ დიდი სახელმწიფოები და მათი დაქირავებული კრიმინალები, რომელნიც შეაიარაღეს და მიჰყიდეს კაპიტალიზმს, სულთანს უზრუნველყოფს საჭირო ფულით, ოფიცრებითა და იარლით, რათა სისხლში ჩაახშოს სომეხი, კრეტელი და ბერძენი ქალები და ბავშვები, ტანჯული ხალხების ჰუმანური მისწრაფებები. დიახ, სწორედ დიდი სახელმწიფოები არიან ათასობით ქალისა და ბავშვის ნამდვილი მკვლელები. სულთნის ყოველი სისხლიანი ქმედების შემდეგ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი მას და მის დამქაშებს მილოცვებსა და გამორჩეულ ჯილდოებს, აგრეთვე საკუთარ და ოჯახის პორტრეტებს უგზავნიდა. როდესაც კრეტაზე ხოცვა-ჟლეტით სასოწარკვეთილი ბერძნები წინასწარ წაგებულ ომში ჩაებნენ, გერმანიის გენერალურმა შტაბმა გერმანული ზარბაზნები სულთნის სახელით მათ წინააღმდეგ მიმართა.

არანაკლებ ცინიკური გახლდათ რუსეთის იმპერატორის ალიანსი მკვლელებთან და მჩაგვრლებთან. თუ ვილიამ II-ის მოქმედებას ყველა გერმანული პოლიტიკური პარტია უჭერდა მხარს ლიბკნეხტის მეთაურობით, სოციალ-დემოკრატების ჩათვლით, რუსული დესპოტიზმი რუსი ერის ისტორიული ტრადიციებისა და სიმპატიების წინააღმდეგ მოქმედებდა. რუსული საზოგადოება ფარულად გზავნიდა მოხელეებს ბერძნებთან. იმ დროს, როცა რუსული ზარბაზნები

* წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ „Freedom-ის“ 1897 წლის ივლისის ნომერში. გაზეთი დაცულია ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

კრეტაზე ბერძნულ ეკლესიებსა და სახლებს ანგრევდნენ, რუსი ხალხი თურქების მიერ მიყენებულ ტანჯვას და ხოცვა-ყლეტას წყევლოდა,¹ ახალგაზრდა მეფე და მისი მეუღლე კი სულთნისგან დახოცილი ქალებისა და ბავშვების სისხლით მოსვრილ საჩუქრებს ლებულობდნენ. სასტიკი ცენზურის მიერ ლაგამამოდებული რუსული პრესა მიანიშნებდა, რომ საზოგადოების თანაგრძნობა ჩავრულთა მხარეს იყო, ხოლო რუსული დიპლომატია უსაზღვრო ძალისხმევას მიმართავდა, რათა არ დაეშვა ბალკანელი ერების აჯანყება, რომელნიც წლების მანძილზე ემზადებოდნენ ბერძენთა მოძრაობის პირველივე ნიშანზე აჯანყებულებად.

თუ გერმანულ პოლიტიკას შევადარებთ ავტოკრატიაზე და ომზე დაფუძნებულ ჰალუცინაციების მქონე, ყბედ კომერციულ მოგზაურს, რომელსაც საფონდო ბირჟის სპეკულაციებიდან უხდიან, მაშინ რუსული პოლიტიკა, ისევე როგორც ინგლისური, ფრანგული და ავსტრიული, შარავნის შეიარაღებულ ყაჩაღს ჩამოგავს, რომელიც თანამზრახველებთან ერთად ნაძარცვს იყოფს. თითოეული ამ ყაჩაღთაგანი საკუთარ წილზე ფიქრობს: ავსტრიას სურს სალონიკისა და მაკედონიის სერბული ნაწილის მითვისება, ინგლისს ეგეოსის ზღვის კუნძულები; რუსეთს, არც მეტი არც ნაკლები, მთელი მცირე აზიის სანაპირო, ბოსფორი, კონსტანტინოპოლი და დარდანელი უნდა. რას ითხოვს კაპიტალისტი და „პანამისტი“ საფრანგეთი ძნელი გასაგებია: მიჰყიდა რა სული და ხორცი საფონდო ბირჟის ყალბადანდებს და პანამის არხის აფერისტებს, ისევე როგორც იეზუისტებს, შედეგად მან მხოლოდ ის მიიღო, რომ დაკარგა გავლენა, პრესტიჟი და აღმოსავლეთის ქვეყნების სიმპატიები, ყველაფერი ის, რაც უწინ დანტონის, ბაბეფისა და 1848 წლის რევოლუციის ღვთაებრივ საფრანგეთს უკავშირდებოდა. საკუთარი თვალთ უნდა ნახოთ, როგორ მლიქვნელურად და მონურად იქცევიან საფრანგეთის საკონსულოს თანამშრომლები თურქეთში, რათა შეძლოთ იმის წარმოდგენა, თუ როგორი დეგრადაცია განიცადა ამ დიდებული ქვეყნის პრესტიჟი.

1. გაზეთ „ნოვოსტის“ თანახმად სალონიკში პირველი სამხედრო ოპერაციების დროს 150-ზე მეტი რუსი მოხალისე იბრძოდა, რომელთაც დიდი მსხვერპლი განიცადეს.

ყველა ეს ხარბი ყაჩაღი, რომელთაც არ იცოდნენ საიდან დაეწყოთ ოტომანთა იმპერიის განაწილება, მაშინვე მცირე, ჩაგრულ ერებს ეკვეთნენ, როგორც კი მათ სულთანის ბარბაროსული ბატონობის წინააღმდეგ აჯანყება გაბედეს. სომხეთი მათი თანხმობითა და თანამონაწილეობით იქნა მოხრჩობილი; კრეტა მათი ჯარებითა და გემებით იქნა ალყაშემორტყმული და ბლოკირებული; ამ „ერთობის“ დიპლომატიური აგენტების მიერ იქნა პარალიზებული მაკედონია; ბულგარეთის მთავრობას ჯერ დაემუქრნენ და შემდგომ მოისყიდეს ბერათებით.² უფრო მეტიც, ფულითა და იარაღით მოამარაგეს თურქეთი, რაც ჰუმანიზმის იდეებისათვის მებრძოლმა საბერძნეთმა ამ ომის დროს საკუთარ თავზე კატასტროფულად იწვნია. განა კარგია, რომ ეს პატარა და უბედური ერი, ხელფეხშეკრული და ბუნებრივ მოკავშირეებს ჩამოშორებული, შეურაცყოფილი და გამწარებული, მჩაგვრელებისა და რეაქციონერების მიერ მიწაზე იქნა დანარცხებული. შედეგი იმთავითვე ცხადი იყო და ჩვენ მას ველოდით.³ ისევე როგორც ცხადია ევროპელ დესპოტთა განზრახვა, საკუთარ ნებასურვილზე დამოკიდებული გახადონ საბერძნეთის დამოუკიდებლობა.

ჩვენი ეპოქა, ყველაფერთან ერთად, ხასიათდება დესპოტიზმისა და აგენტობის აბსოლუტური და ამორალური ძალაუფლების გავრცელება-გაძლიერებით. ყველა უფლება, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა აბსოლუტიზმთან ბრძოლაში მოიპოვეს, ჩვენი თაობის უსუსურობის გამო სადაცაა დაიკარგება. აბსოლუტიზმი უფლებებს იმტყიცებს და ევროპული ჰუმანიზმის წინაშე ხელახლა აღიმართა ურჩხულისმაგვარი ტირანიის საზიზღარი და მდაბალი სპექტრი,

2. ბერათი (ბერატ) - არის სულთნის მთავრობის მიერ გაცემული დიპლომი

3. გულახდილათ გითხრათ, გავაოცა იმ ხალხის ქცევამ, ვინც საკუთარ თავს სოციალისტებს უწოდებს და ამავე დროს ცილს სწამებს ჩაგვრის მსხვერპლთ. კაპიტალიზმის ინტერესების დამცველი, ვინმე „სწავლული“ „Justice-ს“ მკითხველებს არწმუნებს, რომ „კრეტელები არიან მატყუარები, ბოროტი მხეცები და უქნარები“. იგივე ინტერესების მეორე „მამაცი დამცველი“ იმავე გაზეთში ამ საზიზღარი ომის მსხვერპლთ მოხსენიებს როგორც „ლაჩრებისა და ტრახაზების უბედურ ნაერთს!“ კაცმა ეს რომ დაწერო ალბათ, ყოველგვარი ადამიანური გრძნობებისაგან დაცლილი უნდა იყო.

რომელიც შეიარაღებულია ინკვიზიციით, ტანჯვა-წამებით და გასაიდუმლოებული სიკვდილით დასჯით. ესპანეთში რუსეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და თურქეთის მსგავსად აღდგენილია ინკვიზიცია და ტანჯვა-წამება, ცალკეულ პირთა მკვლელობები და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, როგორც ამას ფილიპე II-ის, ივანე მრისხანესა და სხვათა მმართველობისას ჰქონდა აღვილი. ჩვენ მოწმენი ვხდებით ჩვენი თანამებრძოლების წამებისა ბარსელონაში, ფრენის მკვლელობისა რომში, მერი ვეტროვას დაწვისა სანქტ-პეტერბურგის ჯურღმულებში, ჯონ ნივის და სხვათა ტანჯვა-წამებისა და ეს ყველაფერი ჩვენ დროში ხდება.

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ხალხთა ალიანსის შექმნა მსგავსი, უსაზიზღრესი დანაშაულებრივი ქმედებების შეჩერების მიზნით, რომელთაც გაერთიანებული მთავრობები: გერმანიის იმპერატორის, რუსეთის მეფისა და მკვლელი სულთნის მეთაურობით ჩადიან. ეს არ უნდა იყოს მჭევრმეტყველი ორატორებისა და დეკლამატორების ალიანსი, რომელთა აზრითაც მშვიდობიანი პროგრესი კაპიტალის კონცენტრაციის წარმოსახვით კანონებსა და მსგავს სისულელეებს მოაქვს, არამედ განათლებული დემოკრატიის რევოლუციური ელემენტების მებრძოლი ალიანსი. სულაც არ წარმოადგენს აუსრულებელ ოცნებას შეიარაღებული წინააღმდეგობის ორგანიზება ჰუმანურობის, პროგრესისა და კეთილდღეობის მტრების წინააღმდეგ. კონტინენტალურ ევროპაში ყველა მამაკაცს გაფლლი აქვს სამხედრო სამსახური. როდესაც დემოკრატები მიხვდებიან, რომ დიდ სახელმწიფოთა თანხმობა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ჰუმანურობის დამონებასა და ხოცვა-ჟლეტის აღდგენას, მათი ამგვარი პოლიტიკის პარალიზებისათვის, მსხვერპლთა დასაცავად აუცილებელია მასების გამოსვლა. მაშინ ჩვენ რამდენიმე ასეული იტალიელისა და სხვადასხვა ეროვნების რამდენიმე ათეული მოხალისის ნაცვლად ჰუმანიზმის იდეის დასაცავად მებრძოლი ათასობით ადამიანი გვეყოლება. ვიმეორებ, დესპოტიზმისა და ორდენებიანი ბანდების წინააღმდეგ დემოკრატიის აქტიური ალიანსის ორგანიზება არ წარმოადგენს ოცნების სფეროს. კომუნიკაციების, პროპაგანდისა და საერთაშორისო ურთიერთობების ჩვენს ხელთ არსებული საშუალებები მოგვცემს ამ იდეის გავრცელებისა და მოძრაობის სულის ჩადგმის შესაძლებლობას.

და მაშინ, ფრატს, ბარბატოს, ჩიპრიანსა და მათ მამაც თანამებრძოლებს მასები გაჰყვებიან იმ განზრახვით, რომ ბოლო მოეღოს მეფეების, მინისტრებისა და ფინანსური კრიმინალების მიერ ევროპელი ხალხისთვის ბორკილების დადების მცდელობას.

V. TCHERKESOFF

LA GÉORGIE

SES TRADITIONS ET SES DROITS POLITIQUES

EXTRAIT DE LA REVUE DE PARIS DE 1^{er} OCTOBRE 1919

PARIS
IMPRIMERIE L. POCHY

52, RUE DU MATHAN, 52

1919

ნაშრომი „საქართველო“ ვარლამ ჩერკეზიშვილის მიერ გამოცემული იქნა ბროშურის სახით 1919 წელს პარიზის კონფერენციასთან დაკავშირებით. ნაშრომი ინახება ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

The work "La Georgie" was published as a brochure by V. Cherkhezishvili in 1919, devoted to Paris Conference. The work is kept in The British Library.

საქართველო

მისი ტრადიციები და პოლიტიკური უფლებები

პარიზში ჩამოსულ უცხოურ დელეგაციებს შორის საქართველოს დელეგაციაც იმყოფება. ის გამოგზავნილია საქართველოს მთავრობის მიერ, რათა კონფერენციისგან საქართველოს რეპაზუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა და ერთა ლოგაში მისი გაწევრიანება მოითხოვოს.

საერთაშორისო სამართლის თანახმად საქართველოს უდაოდ გააჩნია უფლება იყოს დამოუკიდებელი, რადგან ტრაქტატით პროტექტორატის შესახებ ის ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს და მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ უფლებამოსილია დამოუკიდებლად განაგრძოს არსებობა. საკუთარი კონსტიტუციით, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის არსებული ფორმით, რომელიც ერთწლიანი დამოუკიდებლობის ნაყოფია, საქართველომ დაადასტურა, რომ ღირსია მიღებული იქნას ცივილიზებული და დემოკრატიული ერების დიდ ოჯახში.

კულტურული ერების დღევანდელი თაობისათვის საქართველო ცნობილია, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია. თვით განათლებულ და პოლიტიკური ამბიციების მქონე რუსებსაც კი ძალზედ ზერელე წარმოდგენა აქვთ საქართველოს ისტორიაზე, ეთნოგრაფიასა და ეროვნულ თვითმყოფადობაზე, მის იურიდიულ სტატუსზე რუსეთის იმპერიაში. მათთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ საქართველოს (კოლხეთს) ანტიკური დროიდან დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობი უკავია და არის ერთ-ერთი ყველაზე წარმტაცი, ნაყოფიერი და უმდიდრესი ქვეყანა ევროპასა და მცირე აზიაში.

სწორედ მისი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო და იმიტომაც, რომ საქართველო წარმოადგენს დასაყრდენს შუა აზიისა და სპარსეთის დასაყრდენად, რუსეთის მთავრობა უარს აცხადებს მის დათმობაზე. იმ მიზეზით, რომ საქართველო საუკეთესო ჯარისკაცებით ამარაგებდა რუსეთის არმიას 1829, 1855 და 1877 წლებში თურქეთის, ხოლო 1914-17 წ.წ. გერმანიის წინააღმდეგ ომებში, მსგავსია რუსი სამხედროების პოზიციაც. დასაბრუნებს, როგორც რუს რევოლუციონერებს მიაჩნდათ, საქართველომ მათ რიგებს პოლი-

ტიკური ემანსიპაციისათვის ბრძოლის ყველაზე გაბედული მებრძოლები შემატა, რის გამოც ისინი ვერასოდეს დაეთანხმებიან საქართველოს გამოყოფას და არასდროს ცნობენ მის დამოუკიდებლობას.

როგორც ჩანს, რუსული იმპერიალიზმის წარმომადგენლებს ავიწყლებათ, რომ ერთა ლიგის წევრები უფრო მაღალი ლირებულეებით ხელმძღვანელობენ, როგორცაა: დემოკრატია, საერთაშორისო სამართალი, ერთა თავისუფალი განვითარების შესახებ აღიარებული პრინციპები და მიღწეული შეთანხმებები.

საქართველოს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, რათა შეახსენონ ევროპის საზოგადოებას, რომ საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად და ფაქტობრივად საქართველოს სამეფოს სამართალმემკვიდრეა. 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატით პროტექტორატის შესახებ ეკატერინე დიდმა, როგორც საკუთარი, ისე თავისი მემკვიდრეების სახელით, ვალდებულება იკისრა საქართველოსთვის ავტონომია შეენარჩუნებინა. მაგრამ, როდესაც იმპერია დაემხო და მეფის ნაცვლად რესპუბლიკური მთავრობა მოვიდა, მას არც კი უფიქრია საქართველოსთვის საკუთარი პოზიცია ნოტის მეშვეობით ეცნობებინა; კერძოდ, აპირებდა თუ არა რესპუბლიკური რუსეთი 1783 წლის ხელშეკრულების განხილვას. დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ კი ბოლშევიკებმა რუსეთი საერთოდ თორმეტამდე დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაანაწევრეს. საქართველომ დაინახა რა, რომ ხელშეკრულების მეორე მხარე აღარ არსებობდა, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მოიპოვა მოქმედების სრული თავისუფლება და გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ყველაზე მოწინავე დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, დროის მცირე მონაკვეთში, მან შექმნა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურები. მისი ტერიტორია იყო ერთადერთი, ყოფილი ცარიზმის იმპერიაში, სადაც წესრიგი და მშვიდობა სუფევდა. ამ სოციალური ორგანიზმის საფუძველად სცნეს: ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანი არჩევნები, ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინება, რელიგიის, სიტყვის, გაერთიანებების თავისუფლება, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა, სავალდებულო უფასო განათლება, მუნიციპალური და რეგიონალური თვითმმართველობის პრინციპები. ეს რეფორმები გატარდა ყველა სოციალური ფენის თანხმობითა და ყოველგვარი გართულებების

გარეშე. ქართველი ხალხის უნარი, უზრუნველყოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ხანგრძლივი დროის მანძილზე, მისი დამოუკიდებელი არსებობის შედეგა, არსებობისა, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის მაგალითებითაა აღსავსე. განთავისუფლდა რა საუკუნის განმავლობაში რუსული დესპოტიზმით დახშობილი ქართველთა ინიციატივა, ის მალე შეეწყო ახალ ვითარებას და ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური მოწყობისათვის ნაყოფიერ საქმიანობაში ჰპოვა გამოვლინება.

II

კავკასია და კერძოდ საქართველო, დაწყებული ურარტუელებით და პიტიტებით, ბაბილონელებით და ასირიელებით ვიდრე ჩვენს დრომდე, კაცობრიობის კულტურის განვითარების უძველესი კერაა. მის ტრადიციებში, ლეგენდებში, ისევე როგორც წეს-ჩვეულებებსა და ცალკეულ ეთნიკური ჯგუფების ენებში, უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, აისახა სხვადასხვა ცივილიზაციების კვალი. თანამედროვე ქართულში ბევრი ისეთი სიტყვა მოიპოვება, რომელიც ლურსმულ წარწერებში გვხვდება და ფილოლოგია სულ უფრო ხშირად განიხილავს ქართულს, როგორც აქადეურ-ბაბილონური ტექსტების წასაკითხ გასაღებს. საქართველო პირველად მოიხსენიება ბერძნულ მითში არგონავტების შესახებ, რომელთაც ოქროს საწმისის საძებნელად კოლხეთში (საქართველოში) იმოგზაურეს იმ მიდამოებში შორაპანი (Charapan) რომ ეწოდებოდა და მდინარე ფაზისის (Rionis) ნაპირზე მდებარეობდა.

ყოველთვის, როცა კავკასიაზე საუბრობენ ენებისა და ეთნიკური ჯგუფების წარმოუდგენელ რაოდენობას ასხელებენ. მაგრამ ეს სინამდვილეს შეესაბამება მხოლოდ მაღალმთიან რეგიონებთან მიმართებაში. 81 210 კვადრატული კილომეტრი ფართობის ტერიტორია, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპიზონიდან ტუაფსემდეა გადაჭიმული, ჩრდილოეთიდან დიდი კავკასიონის ქედითაა დაცული, ხოლო ტრაპიზონში დაწყებული მისი საზღვარი თბილისის აღმოსავლეთით გრძელდება, ერთი ეროვნების ხალხით არის დასახლებული.

სამშლიონნახევარი ქართველი ერთ ენაზე ლაპარაკობს და მასში მხოლოდ ორი ლოკალური დიალექტი, სვანური და მეგრული, გამოიყოფა. მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ერთ, ისე წეს-ჩვეულებებითა და ფიზიკური ტიპით, ერთ ეთნიკურ და ეროვნულ მთლიანობას ქმნის.

საქართველო მეოთხე საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანდა. იმ რეგიონებშიც კი, სადაც ისლამი მკვიდრი მოსახლეობისთვის ძალით იქნა თავს მოხვეული, საქართველო მდიდარია ქრისტიანული ისტორიული ძეგლებით. ეკლესიების, მონასტრებისა და სამრეკლოების ნანგრევების სიმრავლე მკვიდრი მოსახლეობის მხურვალე რწმენაზე მეტყველებენ. VII, IX-X საუკუნეებში აგებული ეკლესიების არქიტექტურაში აშკარაა ბიზანტიური გავლენა. იგივე შთაგონება გამოსჭვივის იმ ფრესკებიდან და ეკლესიების ჩუქურთმებიდან, რომელთა გადარჩენაც, რუსული მართლმადიდებლური სამღვდლოებისა და შურთან ბარბაროსებისაგან მოხერხდა. ქართველ ახალგაზრდებს უძველესი დროიდან სასწავლებლად ბიზანტიასა და ათენში აგზავნიდნენ. ისინი სალოცავად დადიოდნენ იერუსალიმში, სადაც ქართული ეკლესია-მონასტრები ფუნქციონირებდნენ. დოულინგის გადმოცემით მათი რაოდენობა ათს აღემატებოდა.¹ ქართული ეკლესიები იყო ასევე სინას მთაზე და ბალკანეთში. მათ შორის უმდიდრესი და ყველაზე ცნობილია ათონის მთის მონასტერი.

მუდამ ბრძოლაში მყოფი ჩვენი წინაპრები მხოლოდ რელიგიური დაწესებულებების დაარსებას როდი სჯერდებოდნენ. ისინი ქრისტიანული სამყაროს მიერ მუსულმანების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მათი წარმატებები და შესაბამისად დაფასება მუსულმანების მხრიდან იმდენად დიდი იყო, რომ X საუკუნეში მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება იერუსალიმში გაშლილი ეროვნული დროშით შესულიყვნენ.

ქართველების სწრაფვა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურისაკენ, მუსულმანი მეზობლების მიერ წარმოებული დაპყრობითი ომების გამო, არაერთგზის იქნა შეწყვეტილი. 643 წელს საქართველო არაბებმა დაიპყრეს, რომელთა უღლისაგან განთავისუფლება მხოლოდ VIII საუკუნეში გახდა შესაძლებელი. ახლად თავისუფლე-

1. History of the Georgian Church, by Archdeacon Dowling.

ბამოპოვებულო ქვეყანა შემდეგ თურქებმა დაიპყრეს. მათ თითქმის მთლიანად დაანგრიეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი. მაგრამ X საუკუნის შუა წლებიდან, განსაკუთრებით, დავით აღმაშენებლის მეფობის ეპოქაში (1089-1125), საქართველომ არა მხოლოდ დაიბრუნა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ ორი საუკუნის განმავლობაში ის იყო მძლავრი სახელმწიფო, რომელიც ბატონობდა მთელ ამიერკავკასიაში, ტრაპიზონიდან კასპიის ზღვის სანაპიროებამდე.

იმ დროს, განსაკუთრებით, სახელგანთქმული თამარ მეფის ეპოქაში (1184-1212) აყვავდა ქვეყნის პოლიტიკური და ინტელექტუალური ცხოვრება. ქართულად ითარგმანა პლატონი, არისტოტელე და ნეოპლატონისტები. იმავე პერიოდში ცხოვრობდა ვეფხისტყაოსნის ავტორი, დიდი პოეტი შოთა რუსთაველი.² მისი პოემა დღესაც ყველა ქართველისთვისაა ცნობილი და სმირად ახდენენ მის ციტირებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმავე პერიოდით თარიღდება საუკეთესო ქართული ეკლესიები და ყველაზე ლამაზი არქიტექტურული ძეგლები.

მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, კირაკოსის გადმოცემის თანახმად: მას შემდეგ რაც თამარმა დამასკოს სულთანთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო, სულთანი ქრისტიანებს უფრო ჰუმანურად ექცეოდა. მონასტრებს შეუმცირა გადასახადები, უზრუნველყო იერუსალიმისაკენ მორწმუნეთა, განსაკუთრებით ქართველ მორწმუნეთა უსაფრთხო გადაადგილება. თამარის პატივსაცემად სულთნების იმპერიასა და იერუსალიმში ქართველები გაანთავისუფლეს გადასახადისაგან.

როგორც იერუსალიმის პატრიარქი დოსითეუსი ამბობს,

2. ინგლისურად თარგმნილია ქალბატონ მარჯორი უორდროპის მიერ, გერმანულად (მხოლოდ ნაწილ) ლაისტის მიერ, ფრანგულად ა.ბორინის მიერ (1885).

საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ბროსეს კლასიკურ შრომებში. მან საკუთარი სიკოცხლე საქართველოსა და კავკასიის შესწავლას მიუძღვნა. „საქართველოს ისტორია“, 3 ტომი, 1849-1858 წ.წ. „მოხსენებები საქართველოსა და სომხეთში არქეოლოგიური მოგზაურობების შესახებ“, 3 ტომი, 1849-1858 და ა.შ. ამ დიდი ფრანგი მეცნიერის საპატივსაცემოდ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, ერთ-ერთი ქუჩა დღეს მის სახელს ატარებს.

„იბერიის (Georgie) მოაწმუნე მეფეები ყოველთვის წმინდა სამარხისა და სხვა წმინდა ადგილების მცველნი და მოჭირნახულენი იყვნენ.“

ისტორიკოს შაღნას მიხედვით, თამარმა სალადინს 1187 წელს ქართველებისათვის ადრე წართმეული მონასტრების დაბრუნება მოსთხოვა, ხოლო წმინდა ჯვარში 200 000 დინარი გადაუხადა.

ასეთმა აქტიურმა ღვთისმოსაობამ ქართველებს, იმ დროინდელ ქრისტიანულ სამყაროში, საყოველთაო აღიარება და პატივისცემა მოუპოვა.

ქართველები - ამბობს სომეხი ისტორიკოსი სანოტი, - „ძალზედ გულადი და მებრძოლი ხალხია, მათ კარგად გამაგრებული ციხეები აქვთ, ყავთ დიდი და ძლიერი არმია, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სარაცინებს, სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს. მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ უფლება იერუსალიმში გაშლილი დროშებით შესულიყვნენ, ისე რომ გადასახადი არ გადაეხადათ. სარაცინები მათ შეურაცხყოფას ვერ გაბედავდნენ“-ო.

1224 წელს ქვეყანა თათარ მონღოლთა წინამძღოლის ჩინგის-ხანის ურდოებმა ააოხრეს. 1318 წელს მეფე გიორგი V-ემ შეძლო მათი განდევნა და ერი დიდი მონღოლებით კვლავ აღმშენებლობით საქმიანობას შეუდგა. სამწუხაროდ, 40 წლის თავზე მონღოლებმა ხელახლა დაიპყრეს საქართველო, რომელიც ბარბაროსთა ტალღას გადაულახავ ბარიერად აღუდგა წინ და ამით ევროპა აშკარა კატასტროფისგან იხსნა. 1395 წელს ქართველებმა საბოლოოდ განდევნეს მონღოლები და საკუთარი სახელმწიფოს საზღვრები სპარსეთამდე განავრცეს. მართებული იქნებოდა, რომ 1919 წელს ევროპას გაეხსენებინა ის სამსახური, რომელიც საქართველომ მას მრავალი საუკუნის წინ გაუწია, შესწირა რა დასავლური ცივილიზაციის ინტერესებს თავისი საუკეთესო შვილები.

იმ მშფოთვარე წლებში საქართველომ შეურყვინლად შეინარჩუნა ქრისტიანული რელიგია და არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ბიზანტიასთან. ქვეყნისათვის გამანადგურებელი შედეგები მოჰყვა 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას. გაწყდა უშუალო კავშირი ქრისტიანულ ცივილიზაციასთან. მართალია, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ ევროპელებში დიდ აღტაცებას იწვევდა, მაგრამ ქვეყნისთვის რეალური დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი იყო. თურქებმა

დაპყრეს ლაზიკა, აჭარა და დაიწყეს მკვიდრი მოსახლეობის მუსულმანურ სარწმუნოებაზე ძალით მოქცევა. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის სამი საუკუნია განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ბრძოლაში დაიღუპა მოსახლეობის ნახევარზე მეტი. გადარჩენილები, განაკეთარებით ახალგაზრდები, იძულებულები გახდნენ ისლამი ელიარებიანთ. თუმცა ლაზიკისა და აჭარიის მოსახლეობამ შშობლიური ენა და ქართული ეროვნული ხასიათი დღემდე შეინარჩუნა.

შექმნილი უძიმეაი მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ევროპასთან ურთიერთობა მაინც არ გაუწყვეტია. XVII საუკუნეში რომის პაპ ურბან VIII დროს რომში პირველი ქართული იტალიური ლექსიკონი დაიბეჭდა. XVIII საუკუნის დასაწყისსი ცნობილმა ქართველმა ავტორმა საბა ორბელიანმა მოკავშირეების საძებნელად იტალიასა და საფრანგეთში იმოგზაურა. სამწუხაროდ ევროპა იმ დროს საკუთარი საქმეებით იყო დაკავებული, ხოლო თურქეთი კვლავ ყოვლისშემძლედ რჩებოდა.

III

თურქეთის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნებთან საკუთარი ძალისხმევის გაერთიანების ბოლო მცდელობა ქართველებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში განახორციელეს. მაშინ, როდესაც ავსტრიის იმპერატორი იოსებ II თურქეთის წინააღმდეგ ომში აღმოჩნდა ჩაბმული. სამწუხაროდ ეს მცდელობაც მარცხით დამთავრდა, რადგან რეალური დახმარების ხელი ქართველებს ვერც იოსებმა გაუწოდა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეს მათ რუსეთისთვის მიემართათ, რომლის სწრაფვაც შავი ზღვისკენ სულ უფრო აშკარა ხდებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთო სარწმუნოების მიუხედავად (რუსული რელიგია თითქმის იგივეა, რაც ქართული), გარკვეული უნდობლობა რომანოვების იმპერიის მიმართ მაინც არსებობდა. თურქებისა და სპარსელებისაგან შევიწროებული ერეკლე II-ემ გადამწყვეტ ბრძოლებში გამირობისა და სიმამაცის მაგალითებს აჩვენებდა. რითაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა ევროპელები. აღნიშნულის დადასტურება ეკატერინე II-ისა და ფრიდრიხ II-ის მიმოწ-

ერაშიც შეგიძლიათ ნახოთ. იმავეს მიუთითებს ლესსინგი თავის დრამაში *Minna von Barnhelm*-ი. მაგრამ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ერეკლე II დარწმუნდა, რომ მის ხალხს უთანასწორო ბრძოლის მარტო გასაგრძელებლად ძალა აღარ შესწევდა. ამიტომ თავისი ელჩის, თავად სულხანის მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის არმიის კომენდატთან, პოტიომკინთან მოლაპარაკებები დაიწყო. იმპერატორ ეკატერინე II-ის მიმართ მოხსენებაში პოტიომკინი აღნიშნავდა, რომ მან მიიღო ქართველი ელჩი რომელიც ფრანგულად ისე კარგად ლაპარაკობს, რომ წარმოუდგენელია ეს კაცი აზიიდან იყოს-ო“.

მოლაპარაკებების შედეგად 1783 წელს დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება. რუსეთმა იკისრა შემდეგი ვალდებულებანი: საქართველოს მტერი საკუთარ მტრად განეხილა, უცვლელად დაეტოვებინა სასამართლო, ფინანსები, ეკლესია, შეენარჩუნებინა სრული ავტონომია შიდა მმართველობაში; ძველი ქართული პროვინციები, რომელთაც ერთობლივი ქართულ-რუსული ჯარი თურქებისა და სპარსელებისაგან გაანთავისუფლებდა, საქართველოს შეუერთდებოდნენ და არა რუსეთს.

დასასრულ გამოცხადებული იყო, რომ თუ ხელშეკრულებაში საჭირო გახდებოდა რაიმე ცვლილების ან დამატების შეტანა, ამის გაკეთება მხოლოდ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის თანხმობით იქნებოდა შესაძლებელი. ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა ეკატერინე II-სა და ერეკლე II-ის მიერ. ხელშეკრულების ტექსტის ნახვა შეგიძლიათ იმპერიის კანონთა სრულ კრებულში (ტომი XXI, გვ. 1013-1017, №15835).

რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებით გაღიზიანებულმა მუსულმანურმა სამყარომ საქართველოს შემოოტია. 1795 წელს სპარსეთის შაჰმა ალა მაჰმად ხანმა ქვეყანა დაიპყრო, ააოხრა მისი ცენტრალური პროვინციები და გადაწვა თბილისი. მიუხედავად ოფიციალურად ნაკისრი ვალდებულებებისა, რუსეთს მაშინ საქართველოსთვის არანაირი დახმარება არ გაუწევია.

ამ დარღვევას შემდგომში შეთანხმების სხვა დარღვევებიც მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს იმპერატორი პავლე I, როგორც საკუთარი, ისე შთამომავლობის სახელით ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების დაცვის გარანტიას იძლეოდა,

მისივე 1800 წლის მანიფესტით საქართველო რუსეთის იმპერიაში „ინკორპორირებულად“ გამოცხადდა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში კი მისმა მემკვიდრემ ალექსანდრე I-მა განაცხადა, რომ მისი ტახტზე ასვლის მომენტისათვის საქართველო იმპერიის მიერ უკვე „ანექსირებული იყო“. მეფის რუსეთის ასეთ ნაბიჯს ქართველთა დაუყოვნებლივი პროტესტი მოჰყვა. 1801-დან 1812 წლამდე ქვეყნის არაერთ რეგიონში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს, რისთვისაც მრავალი ქართველი პატრიოტი, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორის ორი დიდი ბიძა, ციმბირში გადაასახლეს.

სწორედ აქედან დაიწყო ქართველთა ელემენტარული უფლებების სისტემატიური დარღვევისა და შეზღუდვის ხანა. როგორ მოახერხა პატარა საქართველომ წარმატებით აღდგომოდა წინ უზარმაზარი რუსეთის ძლევამოსილებას? იმის გასაგებად, თუ რა მდგომარეობამდე იქნა მიყვანილი ეროვნული ყოფა, საკმარისია ქართველების მიერ ჰააგის 1907 წლის საერთაშორისო კონფერენციისადმი წარდგენილი პეტიციის ტექსტს გაეცნოთ.

თანადათან გაუქმებული იქნა ხელისუფლების არჩევითობის პრინციპი და მისი, ადგილი თავსმოხვეულობა რუსულმა ბიუროკრატულმა და სამხედრო წესებმა დაიკავეს. ერთადერთი ქართველი მოხელე, რომელიც მეფისნაცვლის ადმინისტრაციაში შემორჩა, თარჯიმანი იყო.

ბოლო 50 წლის მანძილზე ქართული ენა სამართალწარმოებიდანაც ამოიღეს. სასამართლო პროცესები რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რომელიც გლეხებისა და მუშებისთვის სრულიად გაუგებარი იყო. შესაბამისად მათ ართმევდნენ მოქალაქის უწმინდეს უფლებებს.

ქართული ენა იღვენებოდა ყველა სამთავრობო დაწესებულებიდან, თვით სოფლის ადმინისტრაციიდან, სკოლებიდან და ნაწილობრივ ეკლესიიდანაც კი. ხელშეკრულებით გარანტირებული ჩვენი ეროვნული სამხედრო სისტემა, რუსული აუცილებელი სამხედრო სამსახურით შეიცვალა, რომლის გასავლელადაც ქართველ ახალგაზრდებს უმეტესად ჩრდილოეთ რუსეთსა და ციმბირში აგზავნიდნენ. სამხედრო მონაცემების მიხედვით ქართველი ჯარისკაცების 45% მკაცრი კლიმატური პირობების გამო იხოცებოდა ან ავადდებოდა.

იძულებითი რუსიფიკაციის პოლიტიკის შედეგია ერის ეკონომიკური გაღატაკება.

ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთ უძველეს ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას ადმინისტრაციული ხასიათის ნორმალური აქტით უბრალო ბრძანებით ჩამოერთვა დამოუკიდებლობა და ქონება. შუა საუკუნეების არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები, ჩვენი ისტორიული ძეგლები და კათედრალები ნანგრევებად იქცნენ (ხშირად რუსი ლეთისმსახურების ხელშეწყობითაც). ჩვენ კი, მათ შესაკეთებლად სახსრები არ გავაჩნდა, რადგან ჩვენი ეკლესიებიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც წელიწადში 2 500 000 მანეთს შეადგენდა, იმპერიის მთავრობა ითვისებდა.

იმავე მთავრობამ საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები, რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა, მისივე ბრძანებით ამ მიწებზე რუსი თუ სხვა ეროვნების კოლონისტთა სოფლები გაშენდა. თვითოეულ ასეთ კოლონისტს 15-20 და ზოგჯერ 50 ჰექტარამდე მიწა გადაეცა, მაშინ როდესაც მიწის სიმცირის გამო ქართველი გლეხი საშუალოდ 1-დან 2 ჰექტარამდე მიწას თუ ფლობდა. რუსეთის სასეკლემწიფოს საკუთრებად გამოცხადებული მიწებიდან ქართველი გლეხისათვის არაფერი მიუციათ. უფრო მეტიც, პეტერბურგის მთავრობის ბრძანებით ბევრ, განსაკუთრებით კი ზღვისპირა ქართულ პროვინციებში, მიწების ქართველებისათვის მიყიდვა საერთოდ აკრძალული იყო ასეთმა პოლიტიკამ ქვეყანაში ნამდვილი „მიწის შიმშილობა“ გამოიწვია, განსაკუთრებით მის დასავლეთ პროვინციებში, სადაც ჰექტარი მიწის ფასმა 2500-დან 5000 ფრანკამდე მიაღწია. აქ ქართველი გლეხები იძულებული იყვნენ მიწა კვადრატული მეტრებით ეყიდათ.

IV

ასეთ ვითარებაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართველებმა რუსეთის რეფორმისტულ და რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ქართველებს, 1860 წელს ჩერნიშევსკის ჯგუფის შექმნიდან დაწყებული და 1917 წლის მარტის რევოლუციით დამთავრებული, განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყოველთვის მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავათ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

საქართველოში მაშინ რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1783 წლის ხელშეკრულებით გარანტირებული უფლებების ხელახლა აღიარებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ეს იმედები საუბედუროდ არ გამართლდა. არც თავად ლვოვის და არც კერენსკის მთავრობებს არანაირი ინტერესი არ გამოუხატავთ ემოქმედათ ამ მიმართულებით და რუსეთ-საქართველოს შეთანხმებაში ჩამოთვლილ ორმხრივ მოვალეობებზე ეზრუნათ. იმის ნაცვლად, რომ საქართველოს მიმართ ჩადენილ უსამართლობის გამოსწორების სურვილი მაინც გამოეხატათ, მათ პირიქით, 1917 წლის მაისში, როდესაც ქართულმა სამღვდელეობამ, საკუთარი ერის მხარდაჭერით, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მოითხოვა, პეტროგრადის რესპუბლიკურმა მთავრობამ ყველა საშუალებით სცადა მისთვის ამ სამართლიან საქმეში ხელი შეეშალა. სათათბიროს არჩევნების დროსაც საქართველო ამიერკავკასიის ერთიან სივრცეში იქნა ჩართული, საიდანაც სხვადასხვა ეროვნების 7 მილიონმა ადამიანმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ამას ემატებოდა აგრეთვე კავკასიის ფრონტის 500 000 რუსი ჯარისკაციც. ეს მაშინ, როდესაც რუსეთის ყოველ პროვინციას არჩევნებში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდა. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება განზრახ იქნა მიღებული, რათა საქართველოსთვის, როგორც პოლიტიკური ერთეულისთვის, ანგარიში საერთოდ არ გაეწიათ. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც რუსეთის მთავრობამ ქართველთა პროტესტის მოსმენაზე უარი განაცხადა. მაშინ მომენტის სირთულისა და გერმანიასთან ომის გაგრძელების აუცილებლობის გათვალისწინებით ქართველები დათმობაზე წავიდნენ. უფრო მეტიც, ისინი ყველა საშუალებით ცდილობდნენ დახმარებოდნენ დროებით მთავრობას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც არმიის დეზორგანიზებას და რევოლუციულ-პოლიტიკური მთლიანობის მსხვრევას იწყებდნენ.

ქართველი პოლიტიკოსები, რომელთაც ბოლშევიკების მორჩილება არ სურდათ, თათრებთან და სომხებთან შეთანხმებით,

მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნის ინიციატივით, რაც პეტერბურგში ხელისუფლება ბოლშევიკებმა აიღეს, ხოლო რუსეთის არმიამ კავკასიის საზღვრები დატოვა, მთელი თავისი აღჭურვილობა და პროვინია მტერს მიჰყიდა და ქვეყნის აოხრებით იმუქრებოდა. იმ დროისათვის ბოლშევიკებს ახალი დაწყებული ჰქონდათ მოლაპარაკებები გერმანიასთან. ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე სამუშაოდ მათ ქართველებიც მოიწვიეს, მაგრამ მოკავშირეების მიმართ ამ გამყიდველურ აქტში მონაწილეობის მიღებაზე. ქართველებმა უარი განაცხადეს. ბოლშევიკებმა კი, სამაგიეროს გადახდის მიზნით, თურქეთს საქართველოს ორი პროვინცია ბათუმი და არდაგანი დაუთმეს. ამიერკავკასიის რესპუბლიკა თურქეთისათვის წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, მაგრამ საქართველოს სამხედრო პოტენციალი ამოწურული იყო ამ პატარა ერმა ევროპული ომის დასაწყისისათვის რუსეთის არმიას 200 000 ჯარისკაცი მისცა, რომელნიც იმის ნაცვლად, რომ ისტორიული მტრის, თურქეთის, წინააღმდეგ ბრძოლაში ყოფილიყვნენ გამოყენებული, დასავლეთის ფრონტზე გაგზავნეს, სადაც მათ მოახერხეს თავისი საუკეთესო თვისებების წარმოჩენა.

გარდა იმისა, რომ ქართველი ჯარისკაცები თანამებრძოლებს შორის ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ, უპირველეს ყოვლისა სწორედ ქართული დივიზიები წარმოადგენდნენ იმ ძალას, რომელმაც ორჯერ უკუაგდო გერმანელთა გაათვრებული შეტევები ვარშავის მიმართულებით. როგორც დასავლეთის ფრონტის მთავარ კომენდანტს, დიდ მთავარს ნიკოლოზს ქართველ დეპუტატ გელოვანისთვის უთქვამს: „თუ ბრძოლაში ხუთი ან ექვსი ქართველი მაინც მყავს მე შშვიდად ვარა“. სამწუხაროდ ამ ბრძოლების შემდეგ ბევრი ქართველი პოლონეთის და გალიციის ველებზე დარჩა. ამიტომაც იყო, რომ როდესაც თურქებმა საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა დაიწყეს, ქვეყნის მონახლისე მოსახლეობისგან შემდგარმა ახალგაზრდა არმიამ თურქეთის რეგულარულ ძალებს ღირსეული წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. შეუძლებელი აღმოჩნდა ამიერკავკასიის ნახევრად მუსულმანური რესპუბლიკის მთლიანობის შენარჩუნებაც. განსხვავებამ ცივილიზაციებს, სარწმუნოებასა და ეროვნულ სულისკვეთებას შორის აიძულა საქართველო კვლავ დამოუკიდებელი გამხდარიყო.

1917 წლის რევოლუციის დღეებში ეროვნულმა ტრადიციებმა კვლავ დაიბრუნეს ძველი სიღირსი. სამღვდლოებამ ერის მხარდაჭერით აღადგინა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა; თავდაზნაურობამ, რომელიც, როგორც კლასი ფლობდა: ადგილმამულუბა, ბანკება, რკინიგზებს, უმაღლეს სასწავლებლებს და ა. შ. მთელი ეს ქონება, რომლის საერთო ღირებულება 40 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1917 წლის ნოემბერში პირველ ეროვნულ ასამბლეაზე საჩუქრად ერს გადასცა.

სხვადასხვა კლასების გაერთიანების მიუხედავად, თურქული ძალების წინსვლამ ქართული სახელმწიფოს არსებობა უკიდურესი საფრთხის წინაშე დააყენა. ასეთ კრიტიკულ მომენტში „მხსნელის სახით“ გერმანელები გამოჩნდნენ, რომლებმაც დაპირისპირებულ მხარეებს შეუმაჯღობა შესთავაზეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ახლად მოვლენილი და მოჩვენებითი მეგობრობის მიმართ არანაირი ილუზია არ აწუხებდათ, ისინი იბუღბუღი გახდნენ თავსმოხვეულ პროტექციაზე დათანხმებულიყვნენ, რაც საკმაოდ მძიმე დათმობების ფასად დაუჯდათ.

თურქეთის მხრიდან მუქარის თავიდან აცილების შემდეგ, დაუყოვნებლივ დაიწყო ქვეყნის აღმშენებლობითი საქმიანობა. ეროვნული ასამბლეა, რომელშიც დეპუტატთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა, დროებით პარლამენტად გადაკეთდა, რომელმაც ერთხმად 1918 წლის 26 მაისს საქართველო ნებისმიერ ევროპულ კონფლიქტებში ნეიტრალურ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა.

პრემიერმინისტრმა ჟორდანიამ, პარლამენტის სხდომის გასახსნელად მომზადებულ სიტყვაში განაცხადა: ჩვენი სურვილია მეგობრული ურთიერთობები შევინარჩუნოთ ჩვენ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებებთან; განსაკუთრებული გულისხმიერებით ვეკიდებით სომეხი ხალხის დიდ ტრაგედიას; მათი ერთი ნაწილი დღეს ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფება. იმედია ჩვენი თაობა გაიხსენებს ძველ ტრადიციებს და სომეხები ჩვენთან ისეთივე თავშესაფარს იპოვიან, რომლითაც ისინი ქართველი მეფეების დროს სარგებლობდნენ.”

ქართულმა პარლამენტმა გაატარა შემდეგი რეფორმები: გააუქმა სოციალურ კლასებს შორის განსხვავება, გამიჯნა ეკლესია

სახელმწიფოსაგან, გამოაცხადა სინდისის, სიტყვისა და გაერთიანებების თავისუფლება, ქალთა და მამაკაცთა საყოველთაო საარჩევნო უფლება, ეროვნულ უმცირესობათა საყოველთაო წარმომადგენლობა, აუცილებელი და უფასო განათლება, 8 საათიანი სამუშაო დღე. დაიწყო აგრარული რეფორმა, ნაციონალიზებული იქნა წიაღისეული, ტყეები, მარჯანეცი; დაუყოვნებლივ გაიხსნა რუსეთის მთავრობის მიერ ნახევარი საუკუნის განმავლობაში უარყოფილი უნივერსიტეტი, რომელმაც სამშობლოში მოიზიდა რუსულ უნივერსიტეტებში გაფანტული ქართველი პროფესორები. დღეისათვის განათლების ეს კერა 35 პროფესორსა და 1000 სტუდენტს აერთიანებს.

საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ცხოვრების ორგანიზება დიდ სირთულეებთან არ ყოფილა დაკავშირებული. თბილისში უკვე არსებობდა ლიტერატურული საზოგადოება (ვეფიქრობთ ავტორს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აქვს მხედველობაში. გ.ფ.), რომელიც 35 განყოფილებას და 20 ათას წევრს ითვლის. მისი უმთავრესი ამოცანა გლეხებს შორის პოპულარული ლიტერატურის გავრცელება და სკოლების დაარსებაა. ფუნქციონირებს საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის 24-მა განყოფილებამ ომის წლებში დახმარება გაუწია ჯარისკაცთა ოჯახებსა და ლატაკებს, მიწათმოქმედთა, ისტორიისა და ეთნოგრაფიის, გეოგრაფიული, ჟურნალისტთა, მასწავლებელთა, ქართველ ხელოვანთა და ტექნიკოსთა, სამთო ინჟინერთა, ფარმაცევტთა, ექიმთა და ნატურალისტთა საზოგადოებები. თითოეულ მათგანს არსებობის ასწლიანი ისტორია გააჩნია და აქტიურ საქმიანობას ეწევა.

განვითარებულია კოოპერატიული მოძრაობაც, განსაკუთრებით სოფლებში. ამჟამად უკვე 500-ზე მეტი, მათ შორის საწარმოო, კოოპერატივი ფუნქციონირებს. გლეხების 85 % მათშია გაერთიანებული.

ყოველთვის მდიდარი იყო ეროვნული ლიტერატურა და პრესა. ყოველდღიურად და ყოველკვირეულად გამოცემული ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა 80 ერთეულს აღწევს. თბილისში ქართველები ორ თვეში ერთხელ გამოსცემენ ფრანგულენოვან და ყოველკვირეულად ინგლისურენოვან ჟურნალებს. სულ წელიწადში დაახლოებით 150 ნაშრომი იბეჭდება, რომელთა საერთო ტირაჟი ნახევარ

მილიონ ეგზემპლარს შეადგენს. მოსახლეობის 90 % წერა-კითხვის მკოდნეა და სწავლის დიდი სურვილი აქვს.

ფუნქციონირებს კერძო ინიციატივით დაარსებული ორი სპეციალიზირებული სკოლა. ესენია: წინამძღვრის აგრარული სკოლა, რომელიც ქართველის მიერ საკუთარ მამულში იქნა დაარსებული და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად (რაც იღვის ხორცმკვსხმას გაუწია რუსეთის მთავრობამ), სკოლამ დიდად შეუწყო ხელი გლეხებში ტექნიკური განათლების დონის ამაღლებას.

მეორე სკოლაც ასევე ქართველის ქმნილებაა, რომელმაც სიცოცხლე და მთელი თავისი ქონება სოფ. ავლეში გლეხებისათვის თანამედროვე ცივილიზაციის ნამდვილი კერის შექმნას მიუძღვნა. აქ ყველაფერია იმისათვის, რათა მოსწავლეებმა თანამედროვე პროფესიების შესახებ თეორიული და პრაქტიკული განათლება მიიღონ: სახელოსნოები, დანადგარები, ელექტრომომწყობილობები, კარგი ბიბლიოთეკა, დიდი კოოპერატიული მაღაზია, მოსწავლეთა ორკესტრი და თეატრი, სახალხო განათლების ეს პროექტი მთელ ადგილობრივ მოსახლეობას აერთიანებს.

ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე ჩვენ ყურადღებას აღარ ვამახვილებთ, რადგან ინდუსტრიული და კომერციული სამყარო მათ კარგად იცნობს. ამ სიკეთის ასათვისებლად საქართველოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა სჭირდება. მაგრამ იმისათვის, რომ ყველაფერი ჯეროვნად შეფასდეს, განხორციელდეს ეკონომიკური რეკონსტრუქცია, ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა საკუთარ პოლიტიკურ მომავალში უნდა დარწმუნდეს. საქართველოს მთავრობამ სწორად ამ მიზნით გამოგზავნა ოფიციალური დელეგაცია პარიზში, რათა ევროპის ყურადღება საქართველოს პოლიტიკურ უფლებებს, მის მიერ დამოუკიდებელი არსებობის ერთი წლის მანძილზე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გატარებულ რეფორმებს მიაპყროს, რაც მისი სიცოცხლისუნარიანობის საბუთი და გარანტიაა.

დღეს ახალგაზრდა რესპუბლიკა მოკავშირეებს თხოვს, ცნონ მისი დამოუკიდებლობა და მიიღონ ერთა ლიგაში. ამასთან განსაკუთრებული იმედიც აქვს რადგან საფრანგეთი, ინგლისი და ყირიმის ომში მათი მოკავშირე თურქეთი ჯერ კიდევ 1855 წელს დაპირდნენ საქართველოს, რომ თუ რუსეთისთვის ყოველგვარი დახმარების

აღმოჩენისგან თავს შეიკავებდა, მას დამოუკიდებლობას დაუბრუნებდნენ. როგორც 1555 წლის 25 ნოემბერს, საფრანგეთის წარმომადგენელი გრაფი მეფროი წერდა: „ჩვენ თქვენ მოგიტანთ დამოუკიდებლობას. ევროპას სურს, რომ თქვენ შეხვიდეთ ცივილიზებული ერების დიდ ოჯახში“.

მოუხედავად აღნიშნულისა, საქართველო მაშინ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ერთგული დარჩა. დღეს კი, როდესაც რომანოვების იმპერიის მსხვერვეის გამო ძველი ვალდებულებებისაგან ის მთლიანად თავისუფალია, ქართველი ერი დამოუკიდებელ ერებს შორის თავისი ისტორიული ადგილის დაბრუნებას მოითხოვს.

GEORGIAN TREATIES WITH RUSSIA

I

A BROKEN TREATY

From the origin of the Eastern Question down to our own times, Georgia has always been the theatre of war. It is evident that she will play an important part in the near future, when the rival powers of Europe and Asia come into collision. Yet, in Europe, there are none, excepting a few specialists, who know anything at all about Georgia that is not derived from official Russian sources, not generally to be relied upon. We therefore think it might be well to make the British public acquainted with the true state of political and social feeling in a country whose geographical position must give it a vast importance during the approaching events in the East.

Georgia, with Tiflis its capital, forms the basis of operations for Russia's aggressive policy in Central and Western Asia. From Tiflis the Russian government directs the movements of troops and topographic surveys on the frontiers of Afghanistan; from this point attacks and annexations take place, now in Persia, now in Turkey; and even the projected occupation of Varna, Burgas, and other Bulgarian ports, in November 1886, was arranged in Tiflis, and the expedition was to have been sent from the Georgian ports, Batum, Poti, and Sukhum-Kaleh.¹

But, despite the enormous political and strategic importance to Russia of the possession of Georgia, with her fortresses, her impregnable passes, despite the vast natural resources of the land, with its fertile, well-watered and well-tilled valleys,² the internal policy of The Russian Government ever since the Crimean War, especially

1. At the time of General Kaulbars's famous agitation in Bulgaria the army of Western and Central Transcaucasia (i.e. Georgia) was ready to take the field.

2. Cf. Evgenii Markov, Ocherki Kavkaza

the policy of forcible Russification during the reign of Alexander the Third, has strained every nerve in order to paralyse the economic and intellectual growth of the country. By an unbroken series of measures the Government has irritated the population of a land which gave itself up to Russia *voluntarily and by treaty*, a population which has always bravely defended the general interests of the Russian Empire, and has produced a line of the most brilliant generals, beginning with Bagration and Tsitsiani, and ending with Amilakhvari, Imeretinskii, Chavchavadze, Orbeliani, &c.

In consequence of this fatal doctrine of forcible Russification, which had the well-known journalist Katkov as its apostle, and the notorious Count Muraviev 'the hangman' as its champion, the Government of Alexander the Third began to treat Georgia as conquered country, forgetting that the Georgians, loyal to the conditions of the treaty, refused, at the most critical moment of the Crimean War, the offer of independence made to them by the Allied Powers, on the sole condition that they would remain neutral and not help Russia.³ Notwithstanding the Treaty of the 19th of November 1800, the faithful observance of which was guaranteed, *By Our Imperial Word*, in the Manifesto of the 18th of January 1801, the Government of the country, has been handed over to a military and bureaucratic administration. Georgians are almost wholly excluded from the service of their country the Georgian language is replaced by Russian, in the administration, the law courts, the schools, and now an effort is being made to expel it from the national church, one of the most ancient in Christendom.

Things have gone so far that Georgian recruits, foreign to Russian in language, culture, mode of life, and even food, are sent to serve in Russian regiments in the North, in Siberia, and the pupils of the Ecclesiastical Seminary, the future priests of Georgia, are not only

3. Bogdanovich, *Istoria Vostochnoi voiny*. In the appendix will be found Omar Pasha's proclamation to the Georgians.

deprived of instruction in their mother tongue, but are now actually expelled from the Seminary for reading books in their own language⁴ These measures have led to disorder in the Seminary, which has been closed; they have caused desertions from the army, and the consequent terrible punishments. And now the Government organs of the press demand the dismissal from the administration of the few Georgians who are left,⁵ and the strengthening of the Russian element by the grant of land to Muscovite peasants. Journalistic apologists for police-licence, end pseudo-scientists from various Government offices, have taken upon themselves to prove that Georgia is a conquered country,⁶ and that therefore the Government can deal with it as with Poland and Circassia in 1863-1864. The best and most enlightened people, not only in Georgia but in Russia itself, view with disgust the lawless and capricious behaviour of the Russifiers. But internal policy is not directed by the enlightened and humane Russia of Pushkin and Rylyeev, Herzen and Byelinskii, Turgenev and Tolstoi, but by the fanatic Russia of Pobyedonostsev, the soldiery and gendarmery of Vanovskii, Durnovo and Cherevin. And no man dares to raise his voice in defence of treaties and legality. Any one who dares to stand up for law and justice meets with persecution, imprisonment, and exile; he shares the fate of the nobility of Tver in 1861-2, the Municipal Council of Petersburg in 1867, the *zemstvos* of Chernigov, and, finally, of the Marshal of the Imerethian nobility, D. I. Kipiani, who was murdered by police agents.⁷

4. Listok, Russian Free Press, London, Nos. 2 and 7.

5. Novoe Vremya, Nedelya, &c., articles on Professor Khakhanashvili's report.

6. Ad. Berge, Prisoedinenie Gruzii k Rossii; three articles in Russkaya Starina, 1880, published by Semevskii.

7. Kipiani, translator of Shakespeare and author of a Georgian grammar, for protesting against the behaviour of a drunken Russian monk, who anathematised Georgia, was exiled in 1886, and soon afterwards murdered (Listok, *Russian Free Press*, No. 2). For the other cases mentioned, cf. Stepnyak, Wallace, Kennan, Koshelev, Herzen.

But Bergé, a Frenchman in the Russian service, and the hirelings of the press wittingly subvert the truth and deceive the public. *Georgia is not a conquered country.* The Manifesto of the 18th of January 1801, and the text of the Treaty, printed in the complete collection of the Laws of the Russian Empire, tell a very different story. In the Manifesto, which was posted up in the streets of Petersburg, we read:

King George⁸ (seeing that the end of his days is near), the magnates, and the Georgian people have sought Our protection...they have asked, through plenipotentiary envoys, that the regions subject to the Georgian Kingdom be taken under the immediate rule of the Russian Imperial Throne...In accordance with their petition... We have resolved to fulfil the request of George, son of Irakli, and of the Georgian people, and We have therefore commanded...that our troops be sent into Georgia. *And hereby We declare on Our Imperial Word that on the union of the Kingdom of Georgia...not only will all the rights and privileges of Our faithful new subjects of the Kingdom of Georgia and the regions subject thereto be maintained and respected in their entirety, and the property legally belonging to every man; but, from this time forth...they shall enjoy in addition all the rights, immunities, advantages and privileges belonging to Our former subjects...they shall find solace under our protection...Given at St. Petersburg in the year 1801 since Christ's birth, on the 18th day of January; and in the fifth year of Our reign, and the third year of Our Grand-Mastership (of Malta). The original signed in His Imperial Majesty's own hand, thus:*

„Paul“

The following extracts from the Treaty will show what rights were guaranteed to Georgia by the Imperial Manifesto: -

Art. 1. King George, the magnates, the clergy, and the people desire once for all to become subjects of the Empire of all the Russias, and to take upon themselves all the duties incumbent upon the subjects of Russia.

2. King George and his heirs are to remain on the throne with the title

8. George the Thirteenth, of sad memory, destroyed his reason by his excesses. He was known by the nickname 'Zaki klapia' (glutton, *lit.* calf-swallower). He reigned from the 11th of January, 1798, till 1801. For the tragic fate of his wife, Queen Maria, who was insulted by the Russian general Lazarev, cf. Rottiers, Bodenstedt, and Wardrop's *Kingdom of Georgia*.

of Kings, and retain the chief rule in the Kingdom, but without legislative power.

3. That a salary be appointed for the King, and estates assigned to him in Russia, the revenues of Georgia and the profiles of the mines being under the entire control of the Emperor.

8. The Georgian people to enjoy immunity from taxation for twelve years.

9. Money is to be coined, bearing on one side the Imperial cypher and on the other the arms of Georgia.

Arts. 4-7, 10-14, and 16 are to the following effect:

(a) The number of Russian troops to be kept in Georgia shall not exceed six thousand. (b) Concerning the occupation of Georgian fortresses. (c) On the appointment of their commanders. (d) On the construction of new fortifications. (e) Military service among the Georgians is to take the form of a *national militia in national costumes*. (f) The Russian troops are to buy provisions at the market price. (g) The protection of Georgia against foreign foes. (h) The rights of the independent Georgian Church.

Art. 15. That all Georgians should enjoy the same rights as Russian subjects.

Such is the Treaty confirmed by the Emperor Paul and signed by the Georgian Ambassador, Prince Gersevan Chavchavadze, and his companions, and there is no other treaty or ordinance concerning the government of Georgia signed by any plenipotentiary of that country, and everything undertaken by the Imperial Government which does not correspond with this Treaty is a flagrant breach thereof.

The original Treaty was in duplicate. One copy was kept in Petersburg, and published in the Complete Collection of the Laws of the Russian Empire. The Georgian original, published in Georgia on the 16th and 17th of February, 1801, was kept in Tiflis, in the ancient national cathedral church of Sion. But at the time of the Crimean War it was secretly carried away to Petersburg by the Russian Metropolitan, Isidor. A detailed account of the various clauses of the Treaty has been published in the following historical works: -

B. Rottiers, *Itineraire de Tiflis a Constantinople*. Bruxelles, 1829 (British Museum, 10076 C.I.).

Platon Ioseliani, *Life of King George XIII*, in Georgian, pp. 114-138.
P.G. Butkov, *Materials for the modern History of the Caucasus*, in

Russian.

St. Petersburg, 1869. T. i. i. 461-2.

N. Dubrovin, *Transcaucasia*, from 1803 to 1806, in Russian. St. Petersburg, 1866.

F. Bodenstedt, *Die Völker des Kaukasus*, gives a brief account.

II

CHRISTIANITY IN GEORGIA

We have already referred to the fact that the future priests of the Georgian people are forbidden to read anything in their own language. Is this language, then, alien to Christianity and culture, and are the Russian persecutors, with Pobyedonostsev at their head, acting in the interests of religion and civilisation? They are so fond of talking about their civilising mission in the East!

The Colchis of the ancient Greeks, Iveria, Georgia, Fief of the Blessed Virgin in the middle ages, was one of the first lands to accept Christianity. According to tradition, a ruined church which still exists in Apkhazia marks the spot where St. Andrew the Apostle preached the Gospel. Irenaeus and Baronius, writers of the fifth century, tell us that in the time of Bishop Clement, during the reign of Trajan, 98-117 A.D., there were many Christians in Iveria, in Colchis. In the third and fourth centuries, there were already fifty bishoprics in Cappadocia, which was inhabited by Georgians.⁹

In the days of the Georgian King, Mirian, and S. Nina, in 318 A.D., Christianity was recognised as the national religion, and, in the sixth century, Procopius of Caesarea declares that 'of all the peoples known to him the Iverians are they who best observe the ordinances of Christianity'¹⁰. Together with Christianity, Greek education and culture

9. Professor Chubinov, *O drevnikh aborigenakh Kapadokii i Djanetii*

10. M.D...shvili, *Gruzinskiya obiteli v sv.zemlye*

were disseminated throughout the country, and attained their widest development in the reigns of David the Renewer (1089-1125) and his successors, especially Queen Tamara the Great (1184-1212). The philosophers and poets of Greece were translated into the Georgian tongue, the youth of Georgia went to study in Athens and Byzantium, the national literature could boast of Rustaveli, whose great epic, 'The Man in the Panther's Skin' (Vepkhvis Tqaosani), for beauty of form, elegance of diction, richness of imagination, loses nothing by comparison with the works of Firdusi and Tasso. The numerous literary and architectural monuments of that epoch bear witness to the high degree of civilisation to which the country had attained, while its political position was almost predominant in Asia Minor and Palestine. It is true that its power and influence were exhibited almost exclusively in the defence of Christianity, but we must not forget that this was the epoch of the Mussulman invasion and the Crusades. Kirakos, an Armenian historian of the thirteenth century, says that:

